№ 5. წელიწადი პირველი. ფასი ყველგან 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა

ბიბლიოთეკა
თბილისი



პარიზის კომუნის გამოცხადება 1871 წ. 18 მარტს



**სუნ-იატ-სენი**, ჩინეთის რევოლიუციის მამამთავარი, გომინდანის დამაარსებელი, რომლის გარდაცვალების 4 წლის თავი შესრულდა 11 მარტს. სუნ-იატ-სენი იყო გულწრფელი რევოლიუციონერი და მებრძოლი ჩინეთის მშრომელი მასების ნამდვილი განთავისუფლებისათვის. მისმა მემკვიდრეებმა ჩქარა დაივიწყეს მისი პრინციპები და შეუთანხმდნენ საერთაშორისო იმპერიალიზმს, რომლის დახმარებით სისხლში ალრჩობენ მუშათა მოძრაობას და გლეხობის ბრძოლას მიწისა და თავისუფლებისათვის.



**ამხ. დობროჯეანუ**, რუმინელი რევოლიუციონერი, რომელიც დააპატიმრა რუმინეთის მთავრობამ. თითქმის ორმოცდაათი დღეა სიმშილობს ნაშნად პროტესტისა დაპატიმრების წინაალმდეგ.



ამერიკის საომარი სამზადისი ინგლისის წინაალმდეგ. სამხედრო ავიაციის მანევრები ოკეანეში. საჰაერო მანევრების პარალელურ ად მიმდინარეობდა ქვეითა ჯარის მანევრები ოკაენეს სანაპიროებზე, ამ ორი ძალის თანამშრომლობის საცდელად.



ამ რამდენიმე ხნის წინათ ხელმოწერილ იქნა შეთანხმება მუსოლინის მთავრობასა და რომის პაპის „სახელმწიფოს" შორის. სურათზე— პაპა **პიი XI**



**ჰერბერტ გუვერი**, „შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი, რომელიც 4 მარტს შეუდგა თავისი მოვალეობაშესრულებას. მის მიერ შედგენილი მთავრობა მთლიანად ვაჭრებისა და ბირჟევიკებისგან შესდგება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გუვერის პრეზიდენტობის დამახასიათებელი იქნება გაძლიერებული ბრძოლა შეერთებული შტატების იმპერიალიზმის პოზიციების კიდევ უფრო განსამტკიცებლად.



რომის პაპის, „სახელმწიფოს ტერიტორია: 1) ვატიკანის ბაღები, 2) „წმ." პეტრეს ტაძარი, 3) პაპის სასახლე, 4) მოედანი პეტრეს ტაძრის წინ.



**ჰენრი დეტერდინგი**, ინგლისის ნავთის ტრესტის მეთაური, რომელიც მთელ რიგ წლების განმავლობაში გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა საბჭოთა ნავთის წინაალმდეგ, მაგრამ იძულებული შეიქნა იარალი დაეყარა და ამ რამდენიმე ხნის წინათ შეთანხმება დაედო საბჭოთა ნავთის გამსაღებელ ორგანიზაციასთან ინგლისში.



მისტრის **მეგენ ლოიდ-ჯორჯ** (25 წლის), ყოფ. პრემიერ-მინისტრის ქალიშვილი, რომლის კანდიდატურას აყენებს ინგლისის ლიბერალური პარტია მომავალ საპარლამენტო არჩევნებში.



**გენ. სიკორსკი**, პოლონეთის პრემიერი 1923 წ., რომელსაც შემდეგში მრავალჯერ ეჭირა სამხედრო მინისტრის პოსტი. მან გამოაქვეყნა წიგნი, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ფრანგების დაუხმარებლად პოლონეთის ჯარები 1920 წ. იძულებული შეიქნებოდენ ვარშავა წითელი არმიისათვის დაეტოვებიათო. ამისათვის სიკორსკი გადააყენეს. ახლა პილსუდსკი მას და სხვა წინანდელ სამხედრო მინისტრებს მექრთამეობისა და სახელმწიფო ფულების ფლანგვას აბრალებს. სიკორსკი გენერალ შეპტიცკისთან ერთად პასუხისგებაში მიცემით „ემუქრება" პილსუდსკის ცილისწამებისათვის.



**გენ. ორგაზი** რომელმაც ჩააქრო ესპანეთის დიქტატორის პრიმო დე-რივერას წინაალმდეგ სიუდად-რეალში დაწყებული აჯანყება.



19 წლის ქალი, რომელიც იწონის 535 გირვანქას. სცხოვრობს ქ. ნიცაში.



არკა (ციხე-სიმაგრე) ქაბულში, რომელსაც მოსახლეობის შიშით არ სცილდება ინგლისელების მიერ ავლანისტანის მეფედ წამოსკუპებული ყაჩალი **ბაჩე-საკაო** ანუ ხაბიბულა-გაზი, როგორც თავის თავს უწოდებს იგი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 5. 1929 წ. 17 მარტი.

# საქ. მუშგლეხკორთა პირველ თათბირზე

საქართველოს მუშგლეხკორთა პირველი თათბირი დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს მუშგლეხკორთა მოძრაობის განვითარებისათვის ჩვენში და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ეს იყო მუშგლეხკორთა პირველი თათბირი, რომმან დასახა მუშგლეხკორთა შორის მუშაობის მთელი რიგი სრულიად ახალი ფორმები, არამედ მრავალ სხვა გარემოებათა გამო. ამ გარემოებათა შორის კი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თათბირის შემადგენლობას და იშვიათად საქმიანი, აქტიური მუშაობის განწყობილებას, რომელიც ახასიათებდა საქართველოს მუშგლეხკორთა თათბირს პირველი სხდომიდან უკანასკნელამდე.

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი დელეგატი, რომელსაც კამათში გამოსვლით, შეკითხვით, თუ წინადადებათა შეტანით აქტიური მონაწილეობა არ მიეღო თათბირის მუშაობაში. ამ მხრივ ერთნაირად იპყრობს ყურადღებას როგორც მამაკაც, ისე დედაკაც დელეგატების აქტივობა. რას მოწმობს ეს? ჩვენ ვამბობთ, რომ მუშგლეხკორთა მასები წარმოადგენენ მოწინავე რაზმს, რომ მუშა და გლეხი კორესპონდენტი თავისი აქტივობით საზოგადოებრივ მუშაობაში —მაგალითის მიმცემია სხვისათვის. თათბირმა თავისი იშვიათად ცოცხალი მუშაობით ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ ეს ასე არის, რომ მუშა და გლეხი კორესპონდენტი ჩვენი მშენებლობის მართლაც აქტიური, მართლაც თავდადებული მუშაკია.

მთავარი მომენტები, რომელთა ირგვლივ სწარმოებდა სჯა-კამათი, თითქმის წინდაწინვე ნათელი იყო, რადგან მუშგლეხკორთა ტკივილები არაერთხელ ყოფილა გამოაშკარავებული ადგილობრივ ასეთივე თათბირებზე და პრესაში. მაგრამ საქართველოს მუშგლეხკორთა პირველი თათბირის განსაკუთრებული დამსახურება იმაში გამოიხატება, რომ თათბირმა, როგორც ეს შეეფერებოდა მის შესაძლებლობას, სათანადო სერიოზულობით და კატეგორიულობით დასვა მუშგლეხკორთა მოძრაობის ყველა მწვავე საკითხები, თათბირმა თავის ავტორიტეტულ დადგენილებებში კონკრეტულად დასახა არსებული მდგომარეობის სურათი, თათბირმა გამონახა ღონისძიებანი მუშგლეხკორთა მოძრაობის არსებულ დეფექტების დასაძლევად, ამ მოძრაობის შემდგომი წარმატებითი განვითარებისათვის.

როგორია ეს მტკივნეული საკითხები? პირველყოვლისა დელეგატები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ადგილებზე სუსტია პარტიული ხელმძღვანელობა მუშგლეხკორთა მუშაობაზე. პარტიულ-ორგანიზაციებმა ხშირად არ იციან მუშა და გლეხ კორესპონდენტთა შორის მუშაობის ხაზი. ბევრჯერ ხდება, რომ პარტიული ორგანიზაციები უხეშად ერევიან მუშგლეხკორთა მუშაობაში. ხშირია ისეთი მაგალითებიც, როცა პარტიული ორგანიზაცია არავითარ ყურადღებას არ აქცევს მუშგლეხკორთა მუშაობას.

ასეთი მდგომარეობა წარმოშობს მთელ რიგ სხვა არანორმალობას, რომელთაც ხაზგასმით აღნიშნავდნენ თავიანთ სიტყვებში დელეგატები. ერთ-ერთი ასეთი არანორმალობაა უყურადღებობა მუშა და გლეხ კორესპონდენტებისადმი, ადმინისტრატიული მედიდურობა და ჩინოვნიკური გულზვიადობა მუშა და გლეხ კორესპონდენტთა საქმიანობის მიმართ. ყველაზე უფრო საგულისხმო ამ შემთხვევაში ის არის, რომ ეს არანორმალური მოვლენა საყოველთაო ბოროტებად გადაიქცა. ასეთი მდგომარეობა ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას უკარგავს მუშგლეხკორთა მოძრაობას.

რა აზრი აქვს პრესის პრაქტიკულ მითითებებს, მამხილებელ მუშაობას, თუ სათანადო ორგანოები თითსაც არ გაანძრევენ იმ ნაკლის გამოსასწორებლად, რომელზედაც ლაპარაკობს პრესა, რომელზედაც სწერს მუშა და გლეხი კორესპონდენტი? ასეთი მდგომარეობა ადუნებს მუშგლეხკორთა ენერგიას და ინიციატივას. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ დელეგატების დიდი უმრავლესობა ყველაზე მეტად სჩიოდა ამ ნაკლზე, უჩიოდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, პროკურატურას, მილიციას და სხვებს.

განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა თათბირის მუშაობაში საკითხმა მუშგლეხკორთა დევნის შესახებ. შურისძიება მამხილებელი კორესპონდენციისათვის სისტემატიურ და საყოველთაო მოვლენას წარმოადგენს მთელ საბჭოთა კავშირში. არის, როგორც ვიცით, შურისძიების სხვადასხვა ფორმები. ხდება აშკარა შეიარაღებული თავდასხმა, ამავე დროს ადგილი აქვს მუშკორის ან გლეხკორის ფარულ დევნას. ძნელია იმის თქმა, რომელი ამათგანი უფრო საშიშია მუშგლეხკორთა მოძრაობისათვის.

ძალიან იშვიათად ხდება, რომ ის, ვისზედაც სწერენ, ვისაც მიუთითებენ მის შეცდომებზე, შეეცადოს მათ გამოსწორებას. უმეტეს შემთხვევაში ის პირველყოვლისა იწყებს შენიშვნის დამწერის ძებნას, რომ ანგარიში გაუსწოროს მას. და ეს ანგარიშის გასწორება ხდება მრავალნაირად, დაწყებული ნაგანით თავდასხმით და გათავებული შტატის შემცირებაში მოყოლებით, ან განზრახ ისეთ თანამდებობაზე დაწინაურებით, სადაც დაწინაურებელი მუშკორი ან გლეხკორი იმედებს ვერ გაამართლებს და ამის გამო ზოგჯერ სრულიად უადგილოთ რჩება.

საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსში არის სპეციალური მუხლები, რომელნიც ითვალისწინებენ მუშგლეხკორის დევნას და ამ ბოროტმოქმედების ჩამდენთ უზღავენ შესაფერ სასჯელს. მაგრამ მარტო ეს მიზანს არ აღწევს. საჭიროა მუშგლეხკორთა დევნას აქტიური თანაგრძნობით გამოეხმაურონ ყველა პარტიული, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციები. საჭიროა მუშგლეხკორის მდევნელი ყოველ ცალკე შემთხვევაში საყოველთაოდ და სანიმუშოდ იქნას გაკიცხული, როგორც საბჭოთა საზოგადოებრივობის ულირსი და ჩირქის მომცხები წევრი. მხოლოდ ამ გზით, მხოლოდ ადმინისტრატიულ ღონისძიებათა და საზოგადოებრივ აზრის შეთანხმებით მოვსპობთ ჩვენ მუშგლეხკორთა დევნას, როგორც საზოგადო სენს.

დიდი ყურადღებით შეჩერდა თათბირი მუშგლეხკორთა მოძრაობის საკუთარ ტკივილებზე. ის ფაქტი, რომ მუშგლეხკორებს, როგორც ჩვენი მშენებლობის აქტიურ მონაწილეთ და მოწინავე რაზმს, კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება მფარველობას უწევს, ის გარემოება, რომ პრესის ხმას დიდი და ზოგჯერ ცალკე პიროვნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ეს თავისთავად დადებითი ხასიათის ფაქტები ქმნიან ზოგიერთ უარყოფითი ხასიათის მოვლენებსაც. მუშგლეხკორთა რიგებს ანგარების მიზნით ან სხვა რაიმე ბოროტი მოსაზრებით ეტმასნებიან უცხო ელემენტები. ეგრედ წოდებულ ცრუკორესპონდენტობა და მუშკორული ყოყოჩობა მეტად დიდ ზიანს აყენებს მუშგლეხკორთა მოძრაობის მორალურ ავტორიტეტს და გავლენას.

თათბირმა ერთხმად დაჰგმო ასეთი უარყოფითი მოვლენები მუშგლეხკორთა მოძრაობაში და დაბეჯითებით სთხოვა სათანადო ორგანოებს, რომ სასტიკად იქნას დასჯილი ის, ვინც ბოროტად გამოიყენებს მუშა და გლეხი კორესპონდენტის საპატიო სახელს.

საქართველოს მუშგლეხკორთა პირველი თათბირს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის განვითარებისათვის ჩვენში. ამას მოწმობს პარტიის და ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღება თათბირისადმი. საქართველოს მუშგლეხკორთა პირველი თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანმა ამხ. მ. კახიანმა, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ამხ. ფილიპე მახარაძემ და ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. მიხა ცხაკაიამ.

თათბირმა უკვე სთქვა თავისი სიტყვა. თათბირის მუშაობას დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს მთელი ჩვენი საზოგადოებრივობა. პარტიის ადგილობრივ ორგანოების და ჩვენი პრესის ინიციატივაზე, მუშგლეხკორთა არმიის თვითმოქმედებაზეა დამოკიდებული რამდენად მტკიცედ და უკლებლათ იქნება გატარებული ცხოვრებაში საქართველოს მუშგლეხკორთა პირველი თათბირის დადგენილებანი.

**დამსწრე.**



**მუშგლეხკორთა თათბირის დელეგატი-ქალები**

სხედან: **იმნაძე** (ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკა, **ჭეიშვილი** (ქუთაისი), **ტერ-კარაპეტოვა** (თელავის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა); დგანან— **აბაშიძე** (ჭიათურა) და **ქადაგიშვილი** (კახეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომინტერნის 10 წ. თავი

(მოგონებანი)

ჯ. ფაინბერგი

კომუნისტური ინტერნაციონალის ისტორია, რომელსაც მოეპოვება ყველა საჭირო მასალა და დოკუმენტი, აღნიშნავს კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნასთან დაკავშირებულ ყველა მოვლენას, როგორც დიდს, ისე ნაკლებად მნიშვნელოვანს. მე კი ამ მოკლე წერილში მინდა გავიხსენო ის შთაბეჭდილებანი, რომლებიც ამ ისტორიულ მოვლენასთან არიან დაკავშირებული.

მე ბედნიერება მქონდა დავსწრებოდი იმ კრებას, რომელმაც გადასწყვიტა ზომების მიღება მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის შესაქმნელად. 1919 წლის იანვარში მაცნობეს, რომ თათბირი შესდგება საღამოთი; ამ თათბირზე მეც ვიყავი მიწვეული.

დანიშნულ საათზე გამოვცხადდი კრემლში. შემიყვანეს ნახევრად ბნელ და მეტად ფართო ოთახში. ერთ კუთხეში, რომელიც განათებული იყო ერთად-ერთი ელექტრონის ლამპით, იდგა მაგიდა და რამდენიმე სკამი, რომლებსაც ოთახის დანარჩენ ნაწილისაგან ჰყოფდა შირმა. ცნობისმოყვარეობამ წამძლია და შირმის იქით გადავიხედე. ჩემდა გასაოცრად იქ დავინახე მეტად მშვენიერი საწოლი ბალდახინ ქვეშ. შემთხვევითი თათბირი, რომელზედაც წარმოიშვა კომინტერნის შექმნის იდეა, სწარმოებდა ნიკოლოზ უკანასკნელის საწოლ ოთახში.

ამ თათბირს სულ რამდენიმე კაცი დაესწრო. საკითხს, რომელსაც ვიხილავდით, განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. რუსეთის პროლეტარიატი თავისი ხელისუფლების გამტკიცებისთვის იბრძოდა ისეთ პირობებში, როცა იგი ირგვლივ გარსშემორტყმული იყო კონტრრევოლიუციონურ ძალების რკალით. ამ რკალის იქით, სხვა ქვეყნებში, პროლეტარიატი იბრძოდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომლის ძლიერება შერყეული იყო. მეორე ინტერნაციონალის პარტიები, რომლებმაც გასცეს პროლეტარიატი მსოფლიო ომში, ეხლა აშკარად გამოვიდნენ კაპიტალისტურ საზოგადოების მსხნელებად და საკუთარი ხელით ახჩობდნენ და ხოცავდნენ მუშებს, რათა მუშათა გვამებისაგან აღმართული კედლით შეეჩერებიათ რევოლიუციის ტალღების შეჭრა. სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს და მათ სექციებს, რომლებიც საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის ერთგულნი დარჩნენ, გზა-კვალი აებნათ ამ ქარიშხალში, მათ დაჰკარგეს მოძრაობის ყოველგვარი კონტროლი.

ამ პირობებში ლენინი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დადგა დრო, როცა უნდა დაგვირგვინდეს ციმერვალდსა და კინტალში დაწყებული საქმე. საჭირო იყო მოგვეწოდებია პროლეტარიატისათვის—გადაჭრით გაეწყვიტა კავშირი ამ მოღალატე ორგანიზაციასთან და მჭიდროდ დარაზმულიყო ახალი რევოლიუციონურ საერთაშორისო ორგანიზაციის ირგვლივ, რომელიც მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს ჩააბამდა რუსეთის პროლეტარიატის მიერ ასე წარმატებით დაწყებულ ბრძოლაში ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად.

ლენინმა ამგვარად დაასაბუთა ამ თათბირის მოწვევის მიზეზები. მან თათბირს წარუდგინა მანიფესტის პროექტი, რომელიც რადიოთი უნდა გადაგვეცა მთელი მსოფლიოს მუშებისათვის, და ხაზი გაუსვა, რომ მოწოდებას ხელი მოაწერეს რუსეთის კომპარტიის (ბ) წარმომადგენლებმა და საზღვარ-გარეთის პარტიების ყველა თანამგრძნობმა, რომლებიც მაშინ მოსკოვში იმყოფებოდნენ.

მცირეოდენი დისკუსიის შემდეგ ლენინის წინადადება მიღებულ იქნა. ამავე დროს მიღებულ იქნა მესამე ინტერნაციონალის დამფუძნებელ კონგრესზე მოწვევის პროექტი. ეს პროექტი უნდა გაგვეგზავნა ყველა იმ პარტიისთვის, რომელიც ოპოზიციაში ედგა მეორე ინტერნაციონალს. დამფუძნებელი კონგრესი გადაწყვეტილების თანახმად, უნდა მოწვეულიყო მოსკოვში იმავე წლის მარტში.

თუმცა ჩემი პარტიისაგან—ინგლისის სოციალისტური პარტიისაგან—არა მქონდა რწმუნება მონაწილეობა მიმეღო ახალი ინტერნაციონალის შექმნაში, მაგრამ მაინც მოვაწერე ხელი მანიფესტს იმ მტკიცე რწმენით, რომ ინგლისის სოციალისტური პარტია მოიწონებდა ჩემს მოქმედებას. როცა რუსეთში მოვდიოდი, პარტიამ დამავალა სრული სოლიდარობა განმეცხადებია რუსეთის კომპარტიისთვის (ბ).

მანიფესტი და დამფუძნებელ კონგრესზე მიწვევა გადაეცა რადიოთი, ხოლო მოსკოვში დაიწყო მზადება ამ კონგრესის მოწვევისათვის.

დამფუძნებელი კონგრესი, რამდენადაც მაგონდება, შესდგა დანიშნულ ან თითქმის დანიშნულ დროზე. კონგრესზე დასასწრებლად საზღვარ-გარეთიდან, როგორც ველოდით, ცოტანი ჩამოვიდნენ. ფაქტიურად საზღვარ-გარეთიდან უშუალოდ ჩამოსულ დელეგატთა შორის იყო ებერლეინი—„სპარტაკ"-ის კავშირის წარმომადგენელი, რუტგერსი—ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთი სექციისა და რამდენიმე ფინელი ამხანაგის წარმომადგენელი. საზღვარ-გარეთის სხვა პარტიების სახელით კონგრესს დაესწრნენ იმ პარტიების წევრები, რომლებიც მაშინ მოსკოვში იმყოფებოდნენ.

დისკუსიის ძთავარ საგანს მარტის კონგრესზე წარმოადგენდა შემდეგი საკითხი: უნდა ყოფილიყო თუ არა ეს კონგრესი კომუნისტური ინტერნაციონალის დამფუძნებელი კონგრესი, ე. ი. უნდა შექმნილიყო თუ არა კომუნისტური ინტერნაციონალი ამ კონგრესზე, რომელიც უნდა ყოფილიყო მისი პირველი კონგრესი, თუ იგი უნდა გადაქცეულიყო წინასწარ კონფერენციად კომინტერნის შექმნის საკითხის განხილვისათვის. რუსეთის კომპარტია (ბ) ლენინის მეთაურობით და დამსწრე დელეგატების უდიდესი უმრავლესობა მოითხოვდა ინტერნაციონალის დაუყოვნებლივ შექმნას. საბწუხაროდ, მხოლოდ „სპარტაკ"-ის კავშირის წარმომადგენელი ყოყმანობდა მიეცა ხმა ამ წინადადებისათვის თავისი ორგანიზაციისაგან ინსტრუქციის მიუღებლად და მოითხოვდა, რომ გადაწყვეტილების გამოტანა გადაგვედო შემდეგი კონფერენციამდე.

სხვა დელეგატები დიდხანს არწმუნებდნენ ებერლეინს — შეეცვალა თავისი პოზიცია; იგი მაინც უარზე იდგა. მაგრამ ლენინის ლოღიკა უფრო სადი და შორსმჭვრეტელი გამოდგა, ვიდრე ებერლეინის ლოღიკა. მიუხედავად ებერლეინის წინააღმდეგობისა, ლენინმა წინადადება შემოიტანა, რათა ფორმალურად დაარსებულად გამოგვეცხადებია მესამე ინტერნაციონალი იმ მტკიცე რწმენით, რომ „სპარტაკ"-ის კავშირი და პროლეტარიატის ყველა სხვა რევოლიუციონური ორგანიზაცია დაირაზმება ამ ახალი ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.



ნ. ლენინი კომინტერნის პირველი კონგრესის პრეზიდიუმში

დამსწრენი მხურვალედ მიესალმენ ამ წინადადებებს. მესამე ინტერნაციონალი დაარსებულად იქნა გამოცხადებული, ხოლო ჩვენი კრება ამ ინტერნაციონალის პირველ კონგრესად.

ლენინის წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ სხვა ქვეყნების რევოლიუციონური პროლეტარული ორგანიზაციები შეუერთდებოდნენ კომუნისტურ ინტვრნაციონალს, ძალიან მალე გამართლდა.

ერთი წლის შემდეგ გაიმართა კომინტერნის მეორე კონგრესი, რომელსაც დაესწრნენ ყველა ქვეყნიდან ჩამოსული დელეგატები.

თავისი არსებობის დღიდან 10 წლის განმავლობაში კომუნისტურმა ინტერნაციონალმა დიდი ცვლილებები განიცადა. მას ჩამოშორდნენ ზოგიერთნი, მაგრამ გაცილებით უფრო ბევრნი მიემატნენ, და იგი გადაიქცა მსოფლიო რევოლიუციონური პროლეტარიატის ნამდვილ ორგანიზაციად. მიუხედავად მრავალი ცვლილებებისა, მისი ძირითადი ძალა—პროლეტარიატის რევოლიუციონური ავანგარდი — შეუერყევლად სდგას ლენინის მიერ საძირკველჩაყრილ მტკიცე ნიადაგზე.

ჯ. ფაინბერგი.

# პარიზის კომუნა

**ე. მ.**

ნაპოლეონ მესამეს, რომელიც 1852 წელს საფრანგეთის პრეზიდენტიდან ფრანგთა იმპერატორად გადაიქცა, მოსვენებას არ აძლევდა სახელოვანი ბიძის სახელის შერ ვანდიდი. მაგრამ ნაპოლეონ პირველის როლის შესასრულებლად მას არც სამხედრო ნიჭი უწყობდა ხელს და არც საერთო პირობები. ნაპოლეონ პირველ ფეოდალიზმის ხუნდებიდან განთავისუფლებულ საფრანგეთის ბრძოლას ხელმძღვანელობდა მთელი ფეოდალური მოფლიოს წინაალმდეგ და ბურჟუაზიულ თავისუფლებათა დროშას მართავდა ყველგან, სადაც მისი გრენადიორები დადგამდნენ ფეხს. ნაპოლეონ მე-3 დროს კი ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფონი გამოსულ იყვნენ კაპიტალისტური განვითარების გზაზე და ბურჟუაზიამ ყველგან მოიპოვა თავისუფალი განვითარების ხელის შემწყობი უფლებები. მართალია, ფეოდალიზმი ნებაყოფლობით როდი სთმობდა თავის პოზიციებს, მაგრამ გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ არსად ბურჟუაზიას თავისი ბატონობის დასამკვიდრებლად არ დასჭირვებია იმდენი მსხვერპლის გაღება, როგორც საფრანგეთის მესამე წოდებას: დამწყები ყოველთვის უკაფავს გზას უკან მომავალთ და ამიტომ ყველაზე მეტად ზარალდება.



**ტიერი**

**კომუნის ჯალათი**

საფრანგეთის სამხედრო სახელის აღსადგენათ და უმთავრესად იმ მიზნით, რომ ქვეყნის შიგნით გამეფებული კრიზისი დაეფარა, ნაპოლეონ მესამე ებმებოდა დაუსრულებელ ავანტიურებში. უკანასკნელი ავანტიურა იყო ომი პრუსიასთან, რომელმაც თვალსაჩინოდ გამოაშკარავა მეორე იმპერიის მთელი უსუსურობა საფრანგეთ პრუსიის 1870—71 წლის ომის ოფიციალურ საბაბათ შეიქნა დინასტიური საკითხი. 19 ივლისს დაიწყო ომი, ერთი თვის შემდეგ კი საფრანგეთის მთელი არმია მარშალ მაკ-მაგონისა და იმპერატორ ლუი ნაპოლეონის მეთაურობით გერმანელებს ჩაუვარდა ტყვეთ.



გენერალი **ვინუა** „სრული წესრიგით იხევს" მარცხის შემდეგ, რომელიც მან განიცადა 18 მარტს პარიზის მუშების განიარაღების ცდის დროს.

**(პარიზის კომუნის დროინდელი კარიკატურა)**

ფრონტზე დამარცხების პირველ დღეებშივე პარიზში გაისმა ყიჟინა: „ძირს იმპერია, გაუმარჯოს რესპუბლიკას". მაგრამ იმპერიამ, რომლის გენერლები ვერ უძლებდნენ, გერმანელთა იერიშებს, პარიზში, შინაურ ფრონტზე შესძლო გამარჯვების მოპოება და იმპერიის დარჩენილი აჩრდილი არსებობის რამდენიმედ განგრძელდება. მაგრამ, როცა პარიზამდე მიაღწია სედანთან საშინელი დამარცხების ამბავმა, პარიზის ხალხის აღშფოთება, უკვე ვერაფერმა შეაკავა და იმპერიის ხუხულა დაინგრა უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ის უკვე ლიკვიდაციაქმნილი იყო პრუსიის ჯარების მიერ და მისი ადგილი დაიკავა ბურჟუაზიული რესპუბლიკანელების მიერ შექმნილმა „ნაციონალური თავდაცვის მთავრობამ", რომელშიც გაძვრენ მრავალი ფარული მონარქისტები და 1848 წლის რევოლიუციის ჯალათები.



„წმიდა ოჯახი": მთავრობის წევრები **ტიერი** და **ფავრი** გარბიან ვერსალში პარიზიდან, რომელსაც აჯანყების ალი აქვს მოდებული.

**(პარიზის კომუნის დროინდელი კარიკატურა)**

პარიზის მშრომელთ საბუთი ჰქონდათ ეჭვის თვალით ეცქირათ აალი ხელისუფლებისა და უკანასკნელის მოხელეთა მოქმედებისათვის. პარიზის თითეულ რაიონში მოეწყო საეთვალყურეო საბჭოები, რომლებმაც შექმნეს საკუთარი ცენტრი—ცენტრალური კომიტეტი, რომელიც თანდათანობით, ფრონტზე მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირეობით, პარიზის მეორე მთავრობათ ხდებოდა.

ომის გამო დაწყებულმა სამრეწველო კრიზისმა გამოიწვია წარმოებების მასიური დახურვა. ნაციონალური გვარდია ივსებოდა უმუშევარ პროლეტარებით და ხელოსნებით (ნაციონალურ გვარდიელებს ჯამაგირი ეძლეოდა), რამაც ხელი შეუწყო გვარდიის დემოკრატიზაციას.

მთავრობა მიხვდა, რომ პროლეტარიატის შეიარაღება საფრთხეს უმზადებდა ბურჟუაზიულ წყობილებას და გადასწყვიტა თავიდან მოეშორებია ეს საფრთხე. შეიარაღებულ პროლეტარიატის გვერდით პრუსიელების ხიშტი ნაკლებ საშიში იყო ტროშიუ-ფავრისათვის, რომლებიც პარიზის მშრომელთა დაურაზმაობის წყალობით დაეპატრონენ ძალაუფლებას. ნაციონალური გვარდიის ლიკვიდაციის ცდებში „ნაციონალური თავდაცვის" მთავრობა აშკარა ღალატსაც არ ერიდებოდა. მთავრობა მოსახლეობის თვალის ასახვევათ თითქო ებრძოდა გერმანელებს, მაგრამ სამხედრო ოპერაციებს იმგვარად აწარმოებდა, რომ ყოველი შეტაკება პრუსაკებთან გადაქცეულიყო ნაციონალური გვარდიის ჟლეტათ. ტროშიუ და კომპანია მიზნათ ისახავდნენ ნაციონალური გვარდიის ფიზიკურ ლიკვიდაციას, რომ მეამბოხე „პარიზის ხალხი" გაეტეხათ და დაემორჩილებიათ.

1871 წ. 8 თებერვალს მოხდა ნაციონალური კრების არჩევნები. იმ დროს, როცა პარიზში თანდათანობით ძლიერდებოდა რევოლიუციონური განწყობილება, საფრანგეთის გლეხობა, რომელიც მოიქანცა ომისგან და ღატაკდებოდა, ბურჟუაზიას მიყვებოდა ბრმად, სჯეროდა ყოველი ჭორი „პარიზში თავმოყრილ სოციალისტებზე",—ნაციონალურ კრებაში გაგზავნა აშკარა მონარქისტები და ბონაპარტისტები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ პარიზის მოთურგვნას, რისთვისაც საჭირო იყო ზავი, თუ გინდ ეს მეტად ძვირად დასჯდომოდა საფრანგეთს და ტიერმა, „ნაციონალური აღმასრულებელი ხელისუფლების" ახალმა მეთაურმა ღირსეულზე უკეთესად შეასრულა კონტრრევოლიუციონური ბურჟუაზიის ეს დავალება. მთავრობამ ნაციონალური კრების დავალებით საზავო მოლაპარაკება გამართა გერმანელებთან და ომი დასრულებულათ გამოაცხადა, მაგრამ სამარცხვინო ზავს წინ აღუდგენ პარიზის მშრომელები, რომლებიც ამავე დროს მოითხოვდნენ სოციალურ რეფორმებსაც. საჭირო იყო რევოლიუციონური პარიზის დამორჩილება, რომ ტიერების რესპუბლიკას თავისი ბნელი ზრახვები განეხორციელებია. ამისათვის კი ჯერ მთავრობას უნდა განეიარაღებია ნაციონალური გვარდია. 17 მარტს მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა ნაციონალური გვარდიის განიარაღება. 18 მარტს დილა ადრიან, მთავრობის ჯარები შეეცადნენ გადაწყვეტილება სისრულეში მოეყვანათ, მაგრამ ამაოთ. პარიზის მშრომელთა სიფხიზლის წყალობით ნაციონალური გვარდიის განიარა-



**გალიფე**

**კომუნის ჯალათი**



„საქმე ცუდადაა". ბურჟუა გარბის პარიზიდან.

**(პარიზის კომუნის დროინდელი კარიკატურა)**



პარიზის კომუნის ცოცხალი მოწამეები:

**გუსტავ ინარი** — **ანტუან გე** — **საჟინი** — **ფურკადი** — **აჩილ ლერუა** — **გოვი**

ლება არ მოხერხდა. მთავრობის თავდასხმამ შეიარაღებულ ხალხზე აღშფოთება გამოიწვია. პარიზში დაიწყო რევოლიუცია. თავდამსხმელი გენერლები ლეკონტი და კლემანი, ძველი ჯალათები, დახვრეტილ იქნენ, გენერალმა ვინუამ და სხვებმა მოასწრეს გაქცევა.

დილის 10 საათზე ტიერი მთავრობის წევრებთან და გენერლების ბანდებთან ერთად გარბოდა პარიზიდან.

ნაციონიონალური გვარდიის ცენტრალური კომიტეტი, რომლის ხელში ფაქტიურად გადავიდა ძალა-თფლება, მერყეობდა, თავის თავს უყურებდა, როგორც დროებით ხელისუფლებას, მაგრამ, როცა პარიზში დარჩენილმა ტიერის მომხრეებმა—რაიონების მერებმა ცენტრალურ კომიტეტს მოსთხოვეს გადადგომა, უკანასკნელმა უარით უპასუხა და 26 მარტისათვის დანიშნა კომუნის არჩევნები.

ლოზუნგი კომუნის, რომელიც თვითმართველ ერთეულს ნიშნავდა, მოვლენათა განვითარებამ ბუნდოვან კლასობრივ შინაარსით შეავსო და სოციალისტური გარდაქმნის დროშათ აქცია.

თუმცა პარიზის კომუნის პერიოდში უკვე არსებობდა საერთაშორისო სოციალისტური ცენტრი—პირველი ინტერნაციონალი, მაგრამ ნაციონალური სოციალისტური მოძრაობა არ იყო დარაზმული, პროლეტარიატს არ მოეპოებოდა საკუთარი კლასობრივი პარტია. სოციალისტურ მოძრაობას ღრნიდა შინაგანი ბრძოლა მარქსისტებსა, პრუდონისტებსა, ბაკუნისტებსა და ბლანკისტებს შორის. მიუხედავათ ამისა, პარიზის მშრომელნი, რომლებიც ძალაუფლებას დაეპატრონენ, გრძნობდენ, რომ მათი ამოცანა არ ამოიწურება მხოლოდ სამხედრო ამოცანებით—პარიზის დაცვით გერმანელებისაგან, არამედ საჭიროა მთელ რიგ სოციალისტურ რეფორმების განხორციელება.

და აი კომუნაც შეუდგა ამ რეფორმებს: რეგულიარული არმიის გაუქმება და ხალხის შეიარაღება, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან, ღამით მუშაობის აკრძალვა პურის საცხობებში, ბინის ქირის გადახდის ვადის გადიდება, შრომის ბირჟის ორგანიზაცია და მრავალი სხვ.

ვერსალი კი, სადაც თავი შეაფარეს პარიზიდან გაპარულმა კონტრ-რევოლიუციონერებმა, გაფაციცებით ემზადებოდა პარიზის ჩასალრჩობად სისხლში. მაგრამ ტიერის განკარგულებაში მყოფი რეალური ძალები არ იყო საკმაო ამისათვის. ტიერმა იმდენი მოახერხა, რომ გერმანელებს გაანთავისუფლებია 100.000 ტყვე ფრანგი ჯარისკაცი: გამარჯვებული გერმანიის ბურჟუაზიამ დახმარების ხელი გაუწოდა დამარცხებულ საფრანგეთის ბურჟუაზიას პარიზის მუშების წინააღმდეგ (ასევე მოხდა სამოქალაქო ომის დროს რუსეთში, როცა რუსი თეთრგვარდიელები გერმანელ გენერლების დახმარებით ებრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას).

ამის შემდეგ ტიერის განკარგულებაში უკვე მოიპოვებოდა საკმაო ძალა პარიზის წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყებად. ეს ამოცანა მით უფრო ადვილდებოდა ტიერისათვის, რომ გერმანელები კვლავ პარიზის კედლებთან იყვნენ და ალყა ჰქონდათ შემორტყმული მისთვის.

2 აპრილს დაიწყო სამხედრო მოქმედება ვერსალელებსა და პარიზის კომუნის ჯარებს შორის. 3 აპრილს პარიზელებმა სცადეს იერიშზე გადასვლა, მაგრამ დამარცხდენ. ტყვედ წაყვანილი კომუნის წევრი გუსტავ ფლურანსი გაუსამართლებლად დახვრიტეს ვერსალელებმა.

პარიზის გარშემო თანდათანობით ვიწროვდება კონტრ რევოლიუციონერ გენერლების მიერ შემორტყმული რკალი. პრუსაკების მიერ ცხვირ-პირ დამტვრეული შავრაზმელი გენერლები, თითქო, შინაურ ფრონტზე ცდილობდენ თავის შერცხვენილ სამხედრო რეპუტაციის აღდგენას.

აი უკვე დაეცა ისის ფორტი, სენ-კლუს კარები განადგურებულია ვერსალელების არტილერიის ცეცხლით, მტრის ტყვიით განგმირული დაეცა ბარიკადაზე დომბროვსკი, 28 მაისს კი ვერსალელებმა აიღეს უკანასკნელი ბარიკადა რამპონის ქუჩაზე.

ტიერი ზეიმობდა გამარჯვებას.

გამარჯვებული ბურჟუაზია შეუდგა შურისძიებას იმ შიშისათვის, რომელიც მას ჩაუნერგა კომუნის არსებობის 30 დღემ.

დაიწყო სისხლიანი კვირა. ტყვე კომუნარებს, მათ ცოლშვილს, ნათესავებს, ხვრეტდენ ჯგუფ-ჯგუფად, გაუსამართლებლად, სადაც კი მოუსწრობდნენ. მკვდრების ჩასაყრელად ამოთხრილი ორმოები არ აღმოჩნდა საკმაო და დახვრეტილებს ყრიდენ სენაში, გამხეცებულ გენერლების მსხვერპლთაგან ზოგიერთებს ნახევრად ცოცხლებს ყრიდენ მიწაში.

100.000 კაცის სიცოცხლე დაუჯდა პარიზს თავისი გმირული აჯანყება.

58 წელი გავიდა ამ ამბების შემდეგ და ბურჟუაზიული პარიზი კვლავ თრთის მუშური რევოლიუციის აჩრდილის წინაშე. ეს აჩრდილი მით უფრო აფრთხობს ბურჟუაზიას, რომ პარიზის პროლეტარიატმა 58 წლის მანძილზე შეიძინა კლასობრივი ბრძოლის შესანიშნავი გამოცდილება, იგი დარაზმულია კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ, მან რუსეთის მუშათა კლასისაგან ისწავლა, თუ როგორ უნდა ბურჟუაზიული წყობილების დამხობა, პროლეტარული ხელისუფლების შექმნა და მისი დაცვა. გარდა ამისა, პარიზის პროლეტარიატი მარტო არ არის, მასთან არის საფრანგეთის მთელი დარაზმული მუშათა კლასი, მისთვის უზრუნველყოფილია მთელი მსოფლიო პროლეტარიატის დახმარება.

დეე საფრანგეთის დღევანდელმა ტიერებმა ადგინონ პარიზის რევოლიუციისაგან დაცვის გეგმა, ეს ვერ შეაჩერებს რევოლიუციას საფრანგეთში.

პარიზის 1871 წლის კომუნა სისხლში ჩაალრჩვეს ჯალათებმა.

გაუმარჯოს პარიზისა და მთელი საფრანგეთის პროლეტარიატის მომავალ ძლევამოსილ რევოლიუციონურ აჯანყებას. **ე. მ.**

# კომუნარების ანდერძი

შვილო, შეჰკარით მტკიცე რგოლები
ნორჩ-პიონერთა,
რომ სხვებთან ერთად მისცეთ ბრძოლები
მოსეულ მტერთა.
არ უღალატო შენს ამხანაგებს,
იყავი მზათა
და ბარიკადებს, ძვლებით ნაგებს,
დაედე მტლათა.
შვილო, შეჰფიცე მშრომელ მშობლებს
მამას და დედას—
რომ გასაჭირში იქნები მტკიცე,
მოძმეთ მიჰხედავ.
შვილო, იცოდე ქვეყანაზე
ჯერ კიდევ არი:
ძმა-ძმათა ხოცვა, ხალხთა ჟლეტა
და სისხლის ღვარი.
და თუ მშრომელთა მომავალი
მსხვერპლს მოგთხოვს შვილო,
მოკვდი გმირულად,
გენაცვალოს შენი მამილო.

**გ. ქუჩიშვილი**

# დიდი ყინვები ევროპაში



ბერგენის (ნორვეგია) ნავთსადგურში მთლიანად ყინვებით დაფარული გემი.

# ამიერ-კავკასიის ფედერაციის 7 წლის თავი

## ისტორიული დოკუმენტი

### ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭ. რესპუბლიკების — აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს ხელშეკრულება.

აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენელთა სრულუფლებიანმა კონფერენციამ, რომელიც ემყარება დიდ პროლეტარულ რევოლიუციის მიერ წამოყენებულ ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას, სცნობს თვითეულ, შეთანხმების დამდებ მხარის დამოუკიდებლობას და სუვერენობას და აუცილებლად სთვლის თავის ძალების შემჭიდროებას თავდაცვის მიზნით და სამეურნეო მშენებლობის ინტერესებისათვის,—დაადგინა, რომ ამიერიდან აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკები სდებენ ერთმანეთს შორის მჭიდრო სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიურ კავშირს შემდეგ საფუძვლებზე:

1) რესპუბლიკების კავშირის უზენაეს ხელისუფლებას წარმოადგენს იმ წარმომადგენელთა სრულუფლებიანი კონფერენცია, რომელთაც თანაბარი რაოდენობით ირჩევენ აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს მთავრობები.

2 სრულუფლებიან კონფერენციის აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს საკავშირო საბჭო, რომელთა წევრებს ირჩევს და უკანვე იწვევს კონფერენცია.

3) საკავშირო საბჭოს უწყებაში შედიან: სამხედრო საქმეები, ფინანსები, საგარეო პოლიტიკა, საგარეო ვაჭრობა, გზები, სახალხო კავშირგაბმულობა, ბრძოლა კონტრ-რევოლიუციასთან და ეკონომიურ პოლიტიკის ხელმძღვანელობა რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

4) საკავშირო საბჭოში შედიან თავმჯდომარე, მისი მოადგილე და წევრები:

ა) სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი, ბ) ფინანსთა სახალხო კომისარი, გ) გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი, დ) ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი, ვ) გზათა სამმართველოს უფროსი, ზ) კონტრრევოლიუციასთან მებრძოლი საგანგებო კომისიის თავმჯდომარე.

შენიშვნა 1) შესაფერი სახალხო კომისარიატები შეთანხმების დამდებ რესპუბლიკებში უქმდებიან, გარდა კონტრ-რევოლიუციასთან მებრძოლ საგანგებო კომისიებისა, რომლებიც რჩებიან რესპუბლიკებში და ემორჩილებიან საკავშირო საგანგებო კომისიას.

შენიშვნა 2) სამხედრო საქმეთა, ფინანსების და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრებს კავშირში შემავალ რესპუბლიკებში ჰყავთ თსვიანთი რწმუნებულები, რომლებიც წევრის უფლებით შედიან ამ რესპუბლიკების მთავრობებში.

5) საკავშირო საბჭო ყველა იმ საკითხების შესახებ, რომლებიც შედიან მისი უწყების სფეროში, უშვებს დეკრეტებს, განკარგულებებს, ინსტრუქციებს და საერთოდ იღებს ყოველივე ზომებს, რომლებიც აუცილებელია მასზე დაკისრულ ამოცანების განსახორციელებლად.

6) შეთანხმების დამდებ რესპუბლიკების ტერიტორიაზე ყველა ეკონომიურ ორგანოების მუშაობის გასაერთიანებლად არსდება „უმაღლესი ეკონომიური საბჭო", რომელიც მოქმედობს საკავშირო საბჭოს მუდმივ კომისიის უფლებით, შედის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე და წევრების უფლებით—სამხედრო და საგარეო საქმეთა, ფინანსების, გზების, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრები, შეთანხმების დამდებ რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოების წარმომადგენლები, ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს წარმომადგენელი და საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი.

7) უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს რესპუბლიკების კავშირის ერთიან სამეურნეო გეგმას, წარუდგენს მას დასამტკიცებლად საკავშირო საბჭოს, წარმართავს ეკონომიურ კომისარიატების მუშაობას ამ გეგმის თანახმად, თვალყურს ადევნებს მის განხორციელებას და საჭირო შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები ამ გეგმაში.

8) ყველა საკავშირო უწყებებისა და დაწესებულებებისათვის და აგრეთვე შეთანხმების დამდებ რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოს დადგენილებები უსათუოდ სავალდებულოა.

9) იმ შემთხვევებში, როცა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილებები შეეხებიან გაერთიანებულ უწყებებს და დაწესებულებებს, უმაღლესი ეკონომიური საბჭო ატარებს მათ სათანადო რესპუბლიკების ეკონომიური საბჭოების საშუალებით.

10) საკავშირო საბჭოსთან ეწყობა საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექცია, რომელიც წარმართავს და აერთიანებს რესპუბლიკანურ მუშათა და გლეხთა ინსპექციების სახალხო კომისარიატების მუშაობას საკავშირო კომპეტენციის საკითხების დარგში, და აგრეთვე საკავშირო ორგანიზაციების კონტროლის გასაწევად.

11) საკავშირო საბჭო ხელქვეითი და მისი ორგანოები თავის მოქმედებაში ანგარიშს აბარებენ კავშირში შემავალ რესპუბლიკების სრულუფლებიან კონფერენციას.

სრულუფლებიან კონფერენციას უფლება აქვს შეაჩეროს ან გააუქმოს საკავშირო უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს და სხვა ორგანოების ყოველგვარი დადგენილება და გადაწყვეტილება, როგორც რესპუბლიკანურ მთავრობის პროტესტით, ისე თავის საკუთარ მოსაზრებით.

12) რესპუბლიკების კავშირი ამყარებს ურთიერთობას რ. ს. ფ. ს. რ.-თან საკავშირო ხელშეკრულების ნიადაგზე.



1) **ამხ. მიხა ცხაკაია** —ამიერ კავკასიისა და საქ. ცაკის თავმჯდომარე, 2) **ამხ. აღამალი-ოღლი** —ამიერ-კავკასიისა და აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარე, 3) **ამხ. კასიანი** —ამიერ-კავკასიისა და სომხეთის ცაკის თავმჯდომარე, 4) **ამხ. შალვა ელიავა** —ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, 5) **ამხ. ტერ-გაბრიელიანი** —სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდ., 6) **ამხ. ფილიპე მახარაძე** —საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, 7) **ამხ. მუსაბეკოვი** —აზერბეიჯანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდა დედა*)

## განს ლორბეერ

ის იდგა მანქანასთან ფაბრიკის დიდ კორპუსში. დიდი ხანია, მას შემდეგ კიდევ, როცა ის თითქმის ბავში იყო და პატარა კაბებს ატარებდა, ის აქ მუშაობდა. ადრე მოუხდა მას მუშაობის დაწყება, ძლიერ ადრე, მისი მოკლე ცხოვრებისათვის. მამა სადღაც დაიღუპა ომის დროს, დედა კი ჩქარა წავიდა სხვაგან—ნაწილობრივ გაჭირვებისა და ნაწილობრივ იმის გამო, რომ არ უყვარდა მარტო წოლა.

და აი მაშინ მარგარიტა იმმერვეგ წავიდა დიდ რუხ ქალაქში და იქ იპოვა პატარა ოთახი და მანქანა ფაბრიკაში.

ახლაც იგი იდგა მანქახასთან, როგორც მანამდე ყოველდღიურად. მაგრამ—უცნაურია—ყველაფერი სხვაფერი იყო, ვიდრე წინათ. დღეს სულ სხვანაირი იყო ყველაფერი, გაცილებით დამწუხრებული. ფიქრებს დაეღარა მარგარიტას შუბლი. ხშირად მოავლებდა თვალს თავის ახოვან ტანს და მალულად ნელა გაივლებდა ხელს სხეულზე.

ზედამხედველმა უკვე არაერთხელ შენიშნა, რომ ის ხშირად წინდაუხედავად ივიწყებდა თავის მოვალეობას და მანქანაც ცარიელი მუშაობდა. დაბოლოს, ვერ მოითმინა, მივიდა მასთან და დაუწყო ლანძღვა.

მარგარიტა შეშინდა. ისე იგრძნო თავი, თითქო ბოროტმოქმედების ადგილზე დაიჭირეს. და იმავე დროს თავში გაუელვა ფიქრმა იმაზე, თუ რა მოელის, როცა ტანი გაუდიდდება, დაიწყება ტკივილები, როცა, დაბოლოს, ერთ მშვენიერ დღეს...

საშინელება იყო ფიქრის ბოლომდე მიყვანა და მარგარიტა სწრაფად და მოწყვეტით შეუდგა მუშაობას.

***

პატიმარის საკანი იყო პატარა და ცივი: ხუთი ნაბიჯი განი, ექვსი—სიგრძე. ნაცრისფერი ქვის კედლები, მაგარი ტახტი და ცემენტის იატაკი. სულ ზევით, კუთხეში იყო პატარა ფანჯარა. ცისფერი ცა ნაზი ღიმილით იყურებოდა მასში, მაგრამ ეს ღიმილი დაფლეთილი იყო ფანჯარაზე მიკრულ რკინის ხლართებით.

პატიმარი კანკალებდა სიცივისაგან. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა და მოქნილი იყო, მაგრამ ახალგაზრდული გატაცება მისაფერფლად არის განწირული, თუ ის კვლავ თავისუფლებას არ მოიპოვებს. ის გრძნობდა ამას—პატიმარი, უდიდესი წყურვილით თვალებში, პატიმარი, რომელიც საკანში მოხვდა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისუფლად ყოფნის დროს ძლიერ ხმამაღლა ალაპარაკდა.

მას კვლავ წარმოუდგა იმ საშინელი ტრაღედიის პრელიუდიის სურათი, რომელიც ამ კედლებს გარეთ დატრიალდა. ქალაქი. მუშები დემონსტრაციაზე გამოვიდნენ. ისიც მუშაა და სხვებთან ერთად მიდის. ქუჩა ძლიერ ფართეა. მაგრამ მოტოციკლისტს, ფოლადის მუზარადში, ქუჩა არასაკმაოდ ფართედ ეჩვენება და ის მოათრევს ერთ-ერთ მუშას, სანამ ორივენი არ ჩავარდებიან წყალსადენ თხრილში. მუშა იგინება, თავიდან კი სისხლი სდის. მოტოციკლისტიც იგინება და კვლავ უტევს მუშას. უკანასკნელი ეძგერება თავის მოწინააღმდეგეს, აქცევს, რამდენჯერმე დაარტყმევინებს თავს ფილაქანზე და მოტოციკლით დაჯორგავს. მოტოციკლისტს სიტყვის თქმაც არ შეუძლია, მაგრამ გარშემო იკრიბება ხალხი, მოდიან დემონსტრანტები, ჩნდება პოლიცია. ჩოჩქოლი. ისმის ყვირილი. არც ერთი კაცი არ სდგას დამშვიდებით. ხმაურობა ძლიერდება. შეგროვილი ხალხი ერთმანეთს აჯდება თავზე. უცებ გავარდა. ყველანი გარბიან. ...და ადგილზე რჩება მხოლოდ ორი პოლიციელი, დაპატიმრებული მუშა, სამი აღელვებული მოწმე და ახალგაზრდა ქალი. გვერდით კი აგდია კაცი მოტოციკლის ქვეშ. ახალგაზრდა ქალი სცდილობს გაანთავისუფლოს იგი, მაგრამ ძლიერ სუსტია იმისათვის, რომ ასწიოს ამოდენა სიმძიმე. მაშინ მას ეშველებიან მოწმეები. მოტოციკლის ქვეშ მყოფი კაცი ხმამაღლა კვნესის. ახალგაზრდა ქალი სახეში შეხედავს მუშას და სიძულვილით ამბობს:

— რა ტლანქი სახე აქვს!

მუშა მოქანცვით იღიმება. მხრებს ასწევს. შემდეგ კი „რკინის მუშტებს" მიჰყავთ იგი.

დაპატიმრება... გამოძიება... საშინელი წამება... დაბოლოს, გასამართლება. მოტოციკლისტი სრულიად განიკურნა და მოწმეებს შორის ზის. მის გვერდით, მომღიმარი, ზის ახალგაზრდა ქალი. დარბაზი გაჭედილია ხალხით.

პროცესი იწყება. მტკიცე, მკვახე, თითქო საიდანაც შორიდან მომავალი ხმა კითხულობს საბრალდებლო ოქმს! მოაჯირს უკან მდგომი მუშა ისმენს თავის ქნევით. მას არ სჯერა, რომ იყოს ასეთი ცუდი. მაგრამ მოწმეთა სკამებზე და ხალხში მჯდომნი ადასტურებენ ამას თავის ჩაქნევით, ზოგიერთები სიძულვილით, ზოგნი თანაგრძნობით. ახალგაზრდა ქალმა ერთხელ საკმაოდ გარკვეთით წამოიძახა „ო!.." მოსამართლემაც გაიგონა. მან არაფერი სთქვა, მხოლოდ თხოვნით შეხედა ქალის ლამაზ სახეს.

დასასრული იყო სამწუხარო, ბრალდებათა უმრავლესი მუხლები დამტკიცებულად სცვნეს. განაჩენი: სამი წლის ციხე.

პატიმარმა მოქანცვით გაიღიმა. მაგრამ შემდეგ უცებ მის თვალწინ გაიელვა ქალის ატირებულმა სახემ. მან სწრაფად დაიწყო სიარული საკანში წინ და უკან, შუბლზე ხელის სმით. მარგარიტა!..

მას ეყოლება ბავში. დაპატიმრების წინადღით ის იყო მასთან და მაგრათ ეხუტებოდნენ ერთმანეთს. და მარგარიტა იყო ისეთი რბილი, ისეთი თბილი... და აი, ახლა მას ეყოლებოდა ბავში, ახლა, როცა ის ზის ციხეში და არ ძალუძს რამე გააკეთოს თავის ბავშისთვის. აღმოჩნდება თუ არა მარგარიტა საკმაოდ მტკიცე? ხომ შიშს არ უნერგავს მას ფიქრი ბავშზე? ო, ნეტავ შეეძლოს მას მის გვერდით იყოს თუ გინდ მშობიარობის მომენტში!

პატიმარი გაჩერდა ფანჯარასთან და ტუჩები მოიკვნეტა. მან მშვენივრად იცოდა, რომ ციხემ, თავისი რკინის კანონებით, არ იცის სანტიმენტალობა, რომ მას ვერაფერი მოალბობს. მან იცოდა, რომ თუ გინდ მარგარიტა სიკვდილის პირას იყვეს,—მაშინაც კი ის აქ იქნებოდა, თავის საკანში. არავითარი შებრალება, არავითარი ლმობიერება! მტკიცედ, შეუბრალებელი კანონის მიხედვით: არავითარი შვებულებები არ არსებობს.

ბედი იყო მკაცრი. მაგრამ მას სურდა უბედურება ჩივილისა და დრტვინვის გარეშე გადაეტანა. და აი, სრულიად მოულოდნელად მას დაუბრუნდა სიმტკიცე, მან იგრძნო ძალები წამებისა და მწუხარებისთვის. მარგარიტას მოელის გაჭირვება, მას აწამებენ, სდევნიან. თუ ის მაგარია, იბრძოლებს, თავს დაიცავს, გაბედულათ გამოვა თავის ბავშის სიცოცხლისათვის საბრძოლველად. და თუ სუსტია, მოტყდება და ის იხილავს მას ღონემიხდილს და ფერდალეულს. ყოველ შემთხვევაში ის უნდა იყოს მტკიცე და ძლიერი!

საკანის კარი გაიღო. კარებში იდგა ზედამხედველი. ხელებით წვერს ისწორებდა. მან უბრძანა პატიმარს გაჰყოლოდა. მისი ხმა გაისმოდა უსიცოცხლოდ, ყრუდ და საძაგლად.

მაღლა აწეულ თავით გამოვიდა პატიმარი ცივ საკანიდან.

***

მარგარიტა იმმერვეგ აღარ იდგა მანქანასთან! ის იწვა ლოგინში. პატარა კუნჭული სავსე იყო მისი კივილით. დაჭიმული ტანი თრთოდა ტკივილებისაგან. ხანგამოშვებით ის წამოდგებოდა, მაგრამ დაუძლურებული კვლავ ეშვებოდა ლოგინზე, თითქოს ემუდარებოდა შემსუბუქებას. ხელებს წვდიდა წინ, თითქო ეძებდა იმას, ვისაც შეეძლო განთავისუფლება ამ საშინელ ტანჯვისაგან,—შესაძლოა ისინი ეძებდენ მოყვარულ, მოალერსე ხელს. მაგრამ პატარა კუნჭული იყო ცარიელი, მასში არ იყო სიყვარულის ლანდიც კი, და კივილი ქალის, რომელსაც ცივი ოფლი ასხამდა, ეხეთქებოდა ისევ კედლებს და არავის ესმოდა იგი.

სალამოთი ხმაურობით და ბრაგუნით შემოვიდა მაღალი ქალი. მან უბრძანა ბებერ დიასახლისს მოეტანა ცხელი წყალი და თავის პატარა ჩემოდანიდან ამოათრია აყროლებული საგნები.

მარგარიტა კვნესოდა დაუძლურებული. ის მუდარით სავსე თვალებით უცქეროდა მაღალ ქალს, მაგრამ სასწაული არ ხდებოდა—ტკივილი სწვავდა დათენთილ ტანს და გლეჯდა ნაფლეთებათ. მაღალი ქალის სახე უძრავი იყო.

შუა ღამემ მოატანა პატარა კუნჭული იყო განსახიერება სასოწარკვეთილების, კივილის და უძლურების. მაღალი ქალი ამ საშინელებაში იჯდა უძრავად და... ქსოვდა. ხანგამოშვებით იქ ქალს ხდიდა საბანს და ათვალიერებდა. შემდეკ ოდნავ გააქნევდა თავს, ჰხურავდა საბანს და განაგრძობდა ქსოვას.

მარგარიტას უნდოდა მომკვდარიყო.

მაგრამ ამ მომენტში სრულიად მოულოდნელად გამოვიდა ბავშვი. ის გამოვიდა დედის სისხლიან კივილთან ერთად, დედა კი, თავგადაქინდრული, იწვა, თითქო მკვდარი.

მაღალი ქალი ასრულებდა თავის მოვალეობას. ბავშმა იმ წამსვე მორთო ყვირილი, მაგრამ ახალგაზრდა დედამ მხოლოდ მაშინ გაახილა თვალი, როცა თავის ხელში იგრძნო ძონძებში გამოხვეული პატარა სეული და გაიღიმა.

მაღალი ქალი წავიდა. ოთახში შემოვიდა ბებერი დიასახლისი. ის აღსავსე იყო თანაგრძნობით ახალგაზრდა დედისადმი. მაგრამ მარგარიტა სიხარულით და ბედნიერი სახით შეჰყურებდა მკაცრ მომავალს. ო, მას ეყოფა ძალები, რომ მიიღოს ცხოვრების გამოწვევა! და თუ დღეები იყო უფერული და მძიმე,—სალამოობით ის იქნება თავის ბავშთან და ეს აძლევდა მას ახალ ძალებს ბრძოლისათვის, რომელიც მოელოდა მას გათენებისთანავე.

რაღაც ჯანსაღმა სიმშვიდემ შეიპყრო ახალგაზრდა ქალი. პატარა უბადრუკ კუნჭულში იწვა ის—დიადი, მშვენიერი დედა! მას თვალწინ ეხატებოდა ციხის ქვის საკანი და იღიმებოდა. ის თვალწინ ხედავდა პატიმარს, რომელიც სიყვარულით განუწყვეტლივ ფიქრობდა მასზე და მიუხედავათ ამისა, მაინც ასე დიდხანს უნდა ყოფილიყო დაშორებული და ეტანჯა შორს მისგან, და ის მაინც იღიმებოდა. და მას სჯეროდა მომავალი დღის, როცა მასთან ხელიხელ ჩაკიდებული დაიწყებს გაერთიანებულ ბრძოლას ბავშვის ბედნიერებისათვის. მას სჯეროდა სიკეთის გამარჯვება აწმყოს ჟავბნელ ლანდებზე. მას სჯეროდა მისი და თავის თავის და მთელი ქვეყნიერების ყველა ძმების და დების, რომლე-

*) ამ მოთხრობის ავტორი, განს ლორბეერი, არის გერმანელი პროლეტარული მწერალი, დაზგის მუშა.

## ქალთა გასამხედროების ფრონტზე

10 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, სასროლო მოედანზე (თბილისში) გაიმართა ქალთა შეჯიბრება სროლაში. საუკეთესო მსროლელთ დაურიგდა ჯილდოები.



ბიც იბრძოდნენ სიკეთისათვის: ბავშთა კეთილდღეობისათვის მომავალ კაცობრიობისათვის.

ბავშს ეძინა. პატარა კუნჭული იშლებოდა დაღლილობისაგან. ახალგაზრდა დედა ხედავდა, როგორ ეშვებოდნენ კედლები, როგორ გაირღვა სახურავი და მზის სხივები კრთოდენ ლოგინზე. შორიდან ისმოდა მოძრავი ხალხის სიმღერა. მღელვარე დროშა მოხვდა საწოლს, სადღაც შორეთში კი ამღერდა ფაბრიკის საყვირი.

ქალმა ნელა ამოისუნთქა ძილში. ფანჯრის გარეთ მიწის ქვეშა გუგუნით ღმუოდა ქალაქი. ფანჯრის ფარდებში მოკრთოდა სუსტი სინათლე. უკანასკნელი ნაბიჯები ბარბაცით მისწყდა ბნელ მისახვევში.

ქალაქი იყო მკვდარი.

***

მარგარიტა კვლავ იდგა მანქანასთან, მუშაობა ცივ ბორბლებთან და ბერკეტებთან მისთვის უფრო მძიმე იყო ახლა, როცა ის დედა შეიქნა, ვიდრე წინედ. ბავშს ბებერი დიასახლისი უვლიდა. დედა ხედავდა მას მხოლოდ საღამოს და დილით, ფაბრიკაში წასვლის წინ. ეს ძლიერ მძიმე იყო, მაგრამ სხვაფრივ არ შეიძლებოდა. ვინ იზრუნებს დედაზე და ბავშზე? კანონისათვის, რომელმაც ბავშს წაართვა მამა, უცხო იყო პარაგრაფები, რომლებშიც ლაპარაკი იქნებოდა იმათ დახმარებაზე, ვინც მისი განაჩენით დაიჩაგრა. ო, არა. მას მხოლოდ განაჩენები გამოჭქონდა და ეს საკმარისია! თავის საქმეს ხომ თვითონვე არ გააფუჭებს...

დღე იყო გულშემზარავი, ჩამოწოლილი, როგორც დამძიმებული ღრუბლები. მანქანაზე მიჯაჭვული ახალგაზრდა დედა ხშირად ამოიოხრებდა, მაგრამ ამოოხრასთან ერთად ენთებოდა დამამშვიდებელი აზრი: რა დიადი და კეთილშობილური ამოცანაა—მისცე ქვეყნიერებას სრულქმნილი, ძლიერი და გაბედული ადამიანი... ო, ის ეჭვს გარეშეა გაბედულად ჩასჭიდებს ხელს საზოგადოებრივ ცხოვრების ბორბლებსა და ბერკეტებს... ვინაიდან თან ატარებს მამაცი და ძლიერი დედის გულისცემას! მან უნდა შთაბეროს მასში ძლიერი გატაცება, რომ მისი სიცოცხლე იყოს ბრწყინვალე გაქანება და არა ქვეძრომა. ვაი მას, თუ ის, გამსჭვალული მისი სულდაცემულობით და უიმედობით, დაიღუპება დროთა ქარიშხალში... მაშინ—მაშინ უკეთესი იქნებოდა, რომ არ ეშვა იგი... არა, არა, არა!

როცა საღამოს ის ქალაქის ქუჩებით აჩქარებით მიდიოდა თავის კუნჭულისკენ, გზაზე ერთ საafიშო ბოძზე წაიკითხა მყვირალა პლაკატი, რომელიც პოლიტიკურ კრებაზე იწვევდა ქალებს. უნებლიეთ მას გაახსენდა მამა თავის ბავშის, რომელიც ციხეში იტანჯებოდა. ის ხედავდა მის ღრმა თვალებს, რომლებიც მისჩერებოდენ მას, მას ესმოდა მისი სიტყვები: „წადი, წადი იქ“.

სწრაფად გადისვა ხელი შუბლზე, თითქოს უნდოდა წაეშალა რაღაც მაფრთხობელა საშინელება. უზარმაზარი საკითხი დაისვა მის წინაშე:

„ბავში, შენი ბავში?“

ო, როგორ ყოველ საათში, ყოველ წუთში სწყუროდა მას მისი პატარა ტანის გულზე მიხუტება, ამ პატარა კაცუნას სურნელების ჩასუნთქვა და მასთან ერთად სიარული წინ და უკან ოთახში, შემობურვილში წყნარ საღამოს სიბნელით. და ნუ თუ ახლა უარი უნდა სთქვას ამ სიხარულზე—დაჰკარგოს ეს საღამო?

— არა!... არა!... არა!... შეშინებული ჩურჩულებდა ის, და უმატებდა ნაბიჯს.

აქა-იქ ხედავდა ის უზარმაზარ პლაკატებს, რომლებიდანაც მოწოდებით იცქირებოდენ უშველებელი ასოები: „ქალებო!“. ის არასოდეს არ მდგარა გვერდზე, ყოველთვის პირველ რიგში იყო, სანამ... ბავში... ის ყოველთვის მიისწრაფვოდა ბრძოლისაკენ უკეთესი მერმისის მოსაპოებლად მთელი კაცობრიობისათვის, მომავალ თაობებისა და... თავისი ბავშისათვის. თუ ის თავის ბავშთან დარჩება, ერთი მებრძოლით ნაკლები იქნება, მხოლოდ ერთი... მაგრამ ერთი ხომ დააკლდება... ერთი რგოლი ნაკლები იქნება ჯაჭვში... და თუ სწორედ ეს რგოლი დარჩა საჭირო?..

როცა ის შევიდა თავის კუნჭულში, მან უკვე იცოდა, რომ წავა.

ბავში ეწვინა ხელზე, გულზე მიხუტებული, პატარა ხელები თითქოს რაღაცას ეძებდენ ძილში, უნდოდათ ხელის წავლება, ჩახუტება. ახალგაზრდა დედა კანკალებდა. ის ერთი წუთით მერყეობას მიეცა. მაგრამ იმ წამსვე კვლავ გაიმართა წელში—ის წავა!

და ის წავიდა. მოეხვია ბავშს, სწრაფად გავარდა ოთახიდან და ჩავიდა დაბლა კიბით. მხოლოდ ქუჩაზე გაჩერდა ერთი წამით. გული გააფთრებით ფეთქდა.

ბებერმა დიასახლისმა თავი გაიქნია. მას აკვირვებდა ასეთი „გულქვაობა“ და ჩუმათ ილანძღებოდა.

სანამ დარბაზში შევიდოდა, მარგარიტა ერთხელ კიდევ გაჩერდა შიშით ათრთოლებულ გულით და დაფიქრდა ბავშზე. მაგრამ იმ წამსვე ძალები მოიკრიბა და შევიდა ოთახში, რომელიც სავსე იყო ისეთივე ჩაგრული ხალხით, როგორც ის, თუ გინდ მათ სახლში არ დაეტოვებინათ უსუსური ბავში. როგორადაც არ უნდა ყოფილიყო, ისინი იტანჯებოდნენ, როგორც ის და იბრძოდნენ—როგორც ის.

ერთი ქალი ლაპარაკობდა დიდხანს. ის ხატავდა სილატაკისა და გაჭირვების სურათებს, მოჰყავდა მაგალითები ცხოვრების ბნელ კუნჭულებიდან. ის ყველა ამ საშინელ მაგალითებს ერთმანეთზე აგროვებდა ტანჯვისა და უსამართლობის უზარმაზარ მთად. ის ლაპარაკობდა ხმამაღლა, მკვახეთ, ბრალმდებელი ხმით.

ამ ქალის შემდეგ, რომელმაც წარმოსთქვა მოწოდებით აღსავსე გამაფრთხილებელი სიტყვა, ილაპარაკეს სხვებმაც. ისინი ეძებდენ სიტყვას, ძლივს ახერხებდენ მათ გამოძებნას, რაღაც გაუბედავათ სარგებლობდნენ ამ სიტყვებით. მაგრამ მათი თითეული მოძრაობა, ყოველი ჟესტი და გამოხედვა ლაპარაკობდა მრისხანე და მოთხოვნით აღსავსე სიტყვებით.

შემდეგ მარგარიტაც ავიდა ტრიბუნაზე შეკრებილთა წინ. ის ისეთ გრძნობას განიცდიდა, თითქოს ბავში ეჭირა ხელში და აი მან უნდა ასწიოს ის მაღლა, გარშემო მდგომ ძმებსა და დებს ზევით და დაიყვიროს:

— ეს ბავშია! ბავში! ეს არის—მომავალი, ეს არის—მთელი ქვეყნიერება!

მაგრამ იმ წამსვე თავისუფლად იგრძნო თავი და გააღო პირი. მწყობრად გაისმოდა სიტყვები მძიმე გაჭირვებაზე და მოუტეხავ სურვილზე—უარი სთქვას ყველაფერზე იდეის გულისათვის.

დედები მიყუჩდნენ. აქ მათ წინ ლაპარაკობდა ახალგაზრდა დედა, ცოცხალი, გაბედული, ჯერ მოუტეხავი პროლეტარიატის მძიმე ხვედრის ქვეშ.

და ყველანი იდნგენ, თავები წინ წასწიეს, რომ უკეთ გაეგონათ და მძიმედ სუნთქავდნენ. აურაცხელი თვალები, იმედით აღსავსენი, მიპყრობილი იყო მასზე, მოლაპარაკეზე, იძირებოდენ მის სიტყვებში და ენთებოდენ ახალი, გაცოცხლებული ნაკვერჩხლებით.

— ჩვენ დედებმა უნდა მივატოვოთ ჩვენი ბავშის აკვანი და გამოვიდეთ საბრძოლად ამ ახალგაზრდა სიცოცხლეთა მტრების წინააღმდეგ. ჩვენ ვტოვებთ ჩვენ ბავშებს ლუკმა პურის მოსაპოებლად,—დეე გვეყოს გამბედაობა მივატოვოთ ისინი ახალ ცხოვრებისათვის საბრძოლველად.

ამ სიტყვებით დაასრულა მარგარიტამ და და დაბრუნდა თავის ადგილას.

არავის არ ულაპარაკნია შემდეგ. აქა-იქ გაისმა სიმღერის ჰანგები და მთელი დარბაზი გაივსო ხმამაღლა სიმღერით. თავისი ფიქრებით გატაცებული მარგარიტაც ამღერდა. ეს იყო მისი ბავშის იავ-ნანა. ეს იყო მასების სიმღერა.

როცა სახლში ბრუნდებოდა, მას სიხარულით მოჰქონდა თავისი პირველი გამარჯვება—გამარჯვება თავის თავზე, უკანასკნელ თავის სისუსტეზე. იგი გახდა რკინის დედა, რკინის დედა, რბილი, ანთებული გულით!

***

პატიმარი თავის საკანში კითხულობდა წერილს. მასში უბრალო სტრიქონები მოუთხრობდნენ ბავშზე. მოუთხრობდნენ დედაზე, რომელსაც ეყო გამბედაობა ტანჯვისათვის—გამარჯვების მოსაპოებლად. პატიმარი ჰკოცნიდა თეთრი ქაღალდის ნაგლეჯს. მისი გული თავისუფალი იყო. იგი ადგა, მივიდა ფანჯარასთან და გაჰხედა ფართე ქვეყნიერებას, სადაც გაბედულად და მამაცად მიაბიჯებდა წინ, ყველაფრის მიუხედავად, ახალგაზრდა დედა.

**განს ლორბეერ.**

## ლებე და მიულერი „ისვენებენ“



იმ დროს, როცა უმუშევართა რიცხვი გერმანიაში აღწევს სამ მილიონამდე და ბევრი მათგანი სიმშილით იხოცება ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მენშევიკური ბელადები, როგორც სურათიდან დაინახავს მკითხველი, თავს მშვენივრად გრძნობენ. რეიხსტაგის თავმჯდომარე ლ ე ბ ე (1) და პრემიერ-მინისტრი გ ე რ მ ა ნ მ ი უ ლ ლ ე რ ი (2) „ისვენებენ“ სახელმწიფო საქმეების შემდეგ, მათ ზურგს უკან, შამპანიურით ხელში, გაჭიმული არიან ლაქიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა აჭარისტანის 8 წლის თავი



1) **ამხ. მოედინ სურმანიძე** — აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარე, 2) **ამხ. მემედ გოგიბერიძე** — აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, 3) **ამხ. ალ. ფანცხავა** — საქ. კომპარტიის აჭარისტანის საოლქო კომიტეტის მდივანი, 4) **ამხ. ლ. გამყრელიძე** — სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, 5) უცხოეთში გასატანად გამზადებული ნავთი, 6) **გული ბარამიძე** — ორთაბათომის თემალმასკომის თავმჯდომარე, 7) ქობულეთის სანატორიუმი, 8—17) ქედის ხიდი წინეთ და ეხლა, 9) მუშაობა ბათომის ნავთსადგურის გასაფართოებლად, 10) ბათომის პედ. ტეხნიკუმის მოწაფეები გაკვეთილზე, 11) სოფ. ცხემვანის შრომის სკოლის მოწაფეები, 12—13) პირველყოფილი კავი და ფარცხი შესცვალა 14) ტრაქტორმა, 15) ახალი საავტომობილო გზა, 16) ბარცხანის კოოპერატივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოვანეს თუმანიანი

## 1869—1929

### სურხატი

20 თებერვალს 60 წელი შეუსრულდა დაბადებიან სომხეთის ოქტომბრის წინადროინდელი ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენელს, — ოვანეს თუმანიანს. ის მოკვდა, შეიძლება ითქვას, თავის შემოქმედებითი ძალების სრული გაფურჩქვნის ჟამს. მან ვერ შესძლო განეხორციელებია თავისი უკანასკნელი ოცნება — მთელი თავისი ძალ-ღონე მოენდომებია კულტურულ - შემოქმედებითი მუშაობისათვის იმ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება ის იყო დაიპყრეს მუშურ - გლეხურმა მასებმა.

ჩვენ ყველას გვახსოვს, თუ როგორ მხურვალედ მიესალმა პოეტი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებში. ბოლშევიკების ხელისუფლებას მან მხარი დაუჭირა სრული შეგნებით იმიტომ. რომ მხოლოდ მას, როგორც ინტერნაციონალურ ხელისუფლებას, შეუძლია შექმნას სრული ეროვნული მშვიდობიანობა, მშვიდობიანი შრომის პირობები, ძმური სოლიდარობა ამიერკავკასიის მრავალ ტომიან ხალხებს შორის. წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა პოეტზე, როგორც თვითონ გადმოგვცა, როცა მან ჯერ კიდევ მენშევიკების დროს პირველად დაინახა ნამგალისა და ჩაქუჩის გამოხატულება, საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის (თბილისში) წითელ დროშაზე. ეს გამოხატულება — **შრომის სიმბოლო** — პროლეტარული ხელისუფლების სახელმწიფო დროშაზე ღრმად შეიჭრა იმ ადამიანის ცნობიერებაში, რომელიც თითქმის მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში უმღეროდა შრომას და ხატავდა რევოლიუციის წინადროინდელი გლეხის მძიმე ხვედრს.

დაშნაკელების აჯანყება 1921 წელს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, (თებერვლის ავანტიურა) მკაცრად და საჯაროდ დაჰგმო ოვანეს თუმანიანმა. მაგრამ იგი მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილდა. მან თავის მოვალეობად, სახალხო პოეტის მოვალეობად ჩასთვალა პირად გამგზავრებულიყო ერევანში, რათა გონება - ჩლუნგი ავანტიურისტები დაერწმუნებია ხელი აეღოთ სულელურ და საძაგელ განზრახვაზე და ბოლო მოღებოდა სომხეთის მშრომელთა ტანჯვას და სისხლის ღვრას. გონება - **დაკარგულმა შოვინისტ** - ხ ტებმა, რასაკვირველია, უარჰყვეს პოეტის წინადადება. მაგრამ უგუნური ავანტიურისტები მალე დარწმუნდნენ აჯანყებული რევოლიუციონური მასების ძლიერებაში, უკან დაიხიეს და ხელი აიღეს თავიანთ ბნელ ზრახვებზე.

ოვანეს თუმანიანის შემდეგი პოლიტიკური გამოსვლა იყო საზღვარგარეთელი კონტრრევოლიუციონერების მხილება, რომლებიც სიხარულს ეძლეოდნენ ვოლგის მხარეში სიმშილის გამო 1921 წელს. იმავე წელს სომხეთის საბჭოთა მთავრობამ პოეტი გაგზავნა სტამბოლში იმ მიზნით, რომ იქ მოეწყო ლტოლვილთა დახმარების საქმე და საზღვარგარეთ მყოფი სომეხი მშრომელებისათვის გაეცნო საბჭოთა სომხეთის ახალი წესწყობილება. ცნობილია, თუ როგორ გველურ სისინით შეხვდნენ პოეტს დაშნაკელების ბანდიტები სტამბოლში; მაგრამ ოვანეს თუმანიანმა ღირსეულად შეასრულა მასზე დაკისრებული დავალებანი, მიუხედავათ იმისა, რომ იგი პრაპაგანდას აწარმოებდა იმ ქალაქში, რომელიც ოკუპაციაქმნილი იყო ინგლისის იმპერიალიზმის მიერ, და, სადაც ბატონობდნენ სომეხი და ბერძენი ნაციონალისტები, სადაც სომეხი მასები მოწამლულნი იყვნენ დაშნაკური ზოოლოგიური ნაციონალიზმით. „თუმანიანის სიტყვები,— სწერს ამხ. კარინიანი, რომელიც იმ დროს სომხეთის საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელი იყო საზღვარგარეთ, — მეტად მძლავრი



მახვილი იყო შოვინიზმის და დაშნაკიზმის წინააღმდეგ. თუმანიანი საზღვარგარეთელ სომხებს მოუწოდებდა ეთანამშრომლათ თურქებთან და ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტათ ნაციონალიზმთან. ეს სიტყვები ახალი და არაჩვეულებრივი იყო იმ ქალაქში, სადაც ქუჩებში თარეშობდნენ იმპერიალისტური რაზმები, ხოლო მოშორებით, ბოსფორში მოსჩანდა ინგლისის დრედნოუტები, საფრანგეთის ჯავშნოსნები და იტალიის ნაღმოსნები, რომლებიც ახდენდნენ იმპერიალიზმის ძალთა დემონსტრაციას და მოუწოდებდნენ თურქებთან ბრძოლისაკენ“.

პოეტის დამსახურება, როგორც ლიტერატურულ - მხატვრული, ისე საზოგადოებრივ პოლიტიკური (საბჭოთა ხელისუფლების ჩვენში დამყარების შემდეგ) ღირსეულად შეაფასეს ამიერ - კავკასიის და კერძოდ სომხეთის საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა.

როგორც პოეტი, ოვანეს თუმანიანი ეკუთვნის არა მარტო სომხეთის, არამედ მთელ ამიერ - კავკასიას. ძველი სოფლის ყოფა-ცხოვრება თავისი ადათით, შურის-ძიებით, ცრუმორწმუნეობით, საშინელი ჩამორჩენილობით. ღარიბი გლეხის მძიმე შრომა ქალის მონური მდგომარეობა, სოფლის დაშლის პროცესი და მისი პატრიარქალური წყობილების დანგრევა, კაპიტალიზმის შეტევის გამო, — ყოველივე ეს, რამაც ნათელი მხატვრული გამოხატულება ჰპოვა ოვანეს თუმანიანის პოემებსა და მოთხრობებში, ცოტად თუ ბევრად ახასიათებდა ქართულ და თურქულ სოფლებსაც.

რასაკვირველია, ქალაქმა, რომელშიაც ოვანეს თუმანიანმა გაატარა თავისი შეგნებული სიცოცხლე, არ აღუძრა მას ის გრძნობები და სახეები, რომლებსაც იწვევს დიდი კაპიტალისტური ქალაქი. არც ბურჟუაზია, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვაჭარ არტემას ეპიზოდიურ ფიგურას მოთხრობა „გიქორ“-ში,— არც პროლეტარიატი არ გამხდარა მისი შემოქმედების საგანი. მისი შემოქმედების ერთად - ერთი ობიექტი იყო გლეხობა, ამასთან, „გლეხობის“ ცნებაში იგი ჰგულისხმობდა „ხალხის“ ცნებას.

მრავალმხრივ ხატავდა რა ის უმთავრესად გლეხობის წარსულსა და მომავალს, ღრმად

## წითელარმიელები სტუმრად მუშებთან

9 მარტს 1-ლი ქართული მსროლელი ლეგიონის წითელარმიელები ესტუმრენ სტალინის სახელობის ორთქმავლები სა და ვაგონების შემკეთებელ ქარხნის მუშებს.

მუშებმა აღტაცებით მიიღეს წითელარმიელები და და დაწვრილებით გააცვნეს ქარხნის ყოველი კუნჭული, ყოველი მანქანა.



წითელ-არმიელმა ხელობა გაიხსენა

ქარხნის დათვალიერების შემდეგ შესდგა სახელდახელო მიტინგი.

მუშებმა ვაშას ძახილით გააცილეს საბჭ. კავშირის მშრომელთა მშვიდობიანი შრომის მცველები.

იჭრებოდა რა სახალხო შემოქმედების საიდუმლო კუნჭულში, მისი შემოქმედება, თითქოს, ორმაგ სახეს იღებდა: მხატვრული რეალიზმის (მისი ლირიული პოემები) გვერდით მისი შემოქმედებაში ვხედავთ გმირულ რომანტიზმს. ეს გმირული რომანტიზმი, ჩვენის აზრით, წარმოიშვა იმ ნიადაგზე, რომ იგი ვერ ეგუებოდა მის თანამედროვე სოციალურ წყობილებას, რომელიც შექმნილი იყო სავაჭრო და სამრეწველო ბოურჟუაზიის მიერ, და სურდა განშორებოდა მას, შეჭრილიყო ზღაპრების, ლეგენდების სამყაროში, შეჭრილიყო სახალხო ეპოსში, სადაც ბატონობს გლეხურ - პატრიარქალური პრიმიტივის ხელი და, სადაც პოეტი ხახულობს ხალხის სიბრძნის და მხატვრული სახეების დაუშრეტელ წყაროს. ამით აიხსნება, რომ იგი ასე გატაცებით დაეწაფა ყველა ხალხების სახალხო ეპოსს და უბადლო, შეუდარებელი ოსტატობით აღადგინა მრავალი თაობის კოლექტიური შემოქმედება — ძველი ეპიური პოემა საერთო სახელწოდებით „დავით სასუნელი“.

მაგრამ ყველაზე უფრო ძვირფასი ჩვენი მკითხველების მასისათვის ოვანეს თუმანიანის შემოქმედებაში არის მისი ლირიული პოემებ („ახუმ“, „მარო“, „ლორეცი და საქო“ და სხ.) და მოთხრობები. მის მიერ დახატული სოციალური გარემო არის ბნელი სამეფო, პასიური, გაყვლეფილთა სამყარო. კაპიტალისტური ფაქტორები, რომლებიც ალატაკებდნენ სოფელს, არ დარჩენილა პოეტის ყურადღების გარეშე. ღარიბის გაჭირვება და მუდმივი ტანჯვა სამეურნეო გალატაკების, გადასახადების მძიმე ტვირთვის გამო, და ამასთანავე კულაკ - მევახშირის მკაცრი ყვლეფა ნათლად არის დასურათებული მოთხრობაში „გიქორ“, „კავის ლექს“-ში, პოემაში (დაუმთავრებელი) „კვნესა“ და სხ. ყველა ეს ნაწარმოები გამსჭვალულია ღარიბისადმი ღრმა თანაგრძნობის გრძნობით, ხოლო მოთხრობა „ხაზეინი და მოჯამაგირე“, — მოჯამაგირისადმი თანაგრძნობის ძლიერი განცდით.

ოვანეს თუმანიანი სახალხო მგოსნად აღიარებული პოეტია; ის უპირატესად ღარიბ და საშუალო გლეხთა პოეტია.

პოემა „კვნესა“-ში, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, პოემის ნაწყვეტში, პოეტი აშკარად ილაშქრებს თავადების, კულაკების, მამასახლისების წინააღმდეგ და მათ სთვლის არა მარტო ღარიბების მყვლეფელებად, არამედ აგრეთვე ქურდების და ყაჩაღების მფარველებად, რომლებიც მათთან ერთად წარმოადგენენ ძველი სოფლის მშრომელთა მყვლეფელების და სისხლის მსმელების ხროვას. ამავე ნაწარმოებში ავტორი მეფეებს უწოდებს „ხალხის მკვლელებს“ და „ქვეყნის გამაჲერანებლებს“. მეფის სატრაპიის პირობებში ამგვარი სიტყვების თქმა მეტად გაბედული მოქმედება იყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთის ეროვნულ მოძრაობაში, რომელსაც მეთაურობდა სომხეთის ბურჟუაზია, პოეტი აქტიურ მონაწილეობას იღებდა, მაგრამ ყოველთვის თამაშობდა პარტიის მახლობელი მოღვაწის როლს. მან განსაკუთრებით იჩინა თავი მწვავე რეაქციის სახით იმპერიალისტური ომის და თურქული სომხეთის სრული განადგურების წლებში, როცა პოეტი მუდამ მერყევ წვრილბურჟუაზიულ ელემენტებთან, განსაკუთრებით ინტელიგენციასთან ერთად დაემორჩილა სომხეთის ბურჟუაზიის და მეფის თვითმპყრობელობის ცნობილი ბლოკის გავლენას იმ იმედით, რომ ეს ბლოკი საბოლოოდ გადასწყვეტდა „სომხეთის საკითხს“... 1916 წელში პოეტმა სამი ლექსი უძღვნა ეროვნულ მოძრაობას, რომელიც უკვე დამარცხებული იყო. ლექსები დაწერილია თურქული სომხეთის მრავალი ათიათასობით მასების ფიზიკური განადგურების ამოულეტის შთაბეჭდილებით და აღსავსეა სასოწარკვეთილებით, პესიმიზმით და მისტიციზმით. პოეტის ტრაღიკული შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ მას იმ დროს ჯერ კიდევ არ ესმოდა, თუ რა უდიდეს ბოროტებას წარმოადგენდა კონტრ - რევოლიუციონური დაშნაკელების ბლოკი მეფის დესპოტიასთან და საერთაშორისო იმპერიალიზმთან.

პროლეტარული რევოლიუციის ტალღებმა, რომლებმაც მიაღწიეს ამიერ - კავკასიამდე, ღრმა გარდატეხა გამოიწვიეს გლეხთა პოეტის სულისკვეთებაში და რასაკვირველია, შემთხვევითი არ იყო, რომ მან სავსებით გასწყვიტა კავ



თბილისის სამხატვრო აკადემიის ახალგაზრდა სტუდენტებმა—კომკავშირელებმა **რუბ. თავაძემ** და **კ. მერაბიშვილმა** დაამთავრეს ამხ. სერგო ორჯონიკიძის ბიუსტი. ორივე სტუდენტი სახალხო მოქანდაკის პროფ. ი. ნიკოლაძის მოწაფეებია და წრეულს ამთავრებენ აკადემიას.

... უფილ თახამოაზრეებთან და გადავიდა პროლეტარული რევოლიუციის მხარეზე. აღვნიშნავთ რა ამ მეტად უმნიშვნელო მხარეს მის პოეზიაში, — პატრიოტულ სულისკვეთებას, ჩვენ მაინც უნდა ვსთქვათ, რომ ოვ. თუმანიანის კალამი არც ერთ შემთხვევაში არ გამოხატავდა აგრესიულ ნაციონალიზმს, არასოდეს არ ყოფილა მიმართული რომელიმე ხალხის წინააღმდეგ. პირიქით, ის ყოველთვის იყო ეროვნებათა შორის შუღლისა და მტრობის მოწინააღმდეგე, სისხლიან შეტაკებათა მოწინააღმდეგე. პოემაში „დავით სასუნელი“, იგი პირდაპირ ჰქადაგებს ანტიმილიტარიზმის იდეას, ომის ლიკვიდაციის იდეას, მოწინააღმდეგე მხრის ჯარების გახრწნის საშუალებით. აქედან ცხადია, თუ რატომ იყო, ოვანესიანი სასტიკი წინააღმდეგი სომხეთ-თათართა (1906 წ.) და ქართველ-სომეხთა (1919 წ.) შეტაკებისა, რაიც მან არა ერთხელ დაამტკიცა ამ სისაძაგლის წინააღმდეგ გამოსვლით.

ყველას ახსოვს, თუ როგორ თავდადებით ეწეოდა პრესაში პროპაგანდას ამიერ - კავკასიის ხალხების ძმური სოლიდარობის იდეისათვის, ყველას ახსოვს მისი მეგობრული ურთიერთობა საქართველოს საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენლებთან. 1906 წელში, სომეხ - თათართა გამძაფრებული შეტაკების მომენტში, ოვანეს თუმანიანი თვითონ დადიოდა შეიარაღებულ სომეხთა და თათართა სოფლებში და მასებს შორის პირადად ეწეოდა ენერგიულ აგიტაციას ხალხის ულეტის თავიდან ასაცილებლად. პოეტის ასეთმა თავგანწირულმა ზრუნვამ, აგიტაციამ, გასჭრა: ყაზახლორის რაიონში აცილებულ იქნა ხოცვა-ულეტა. და ამ ფაქტს, ე. ი. თავის მიღწევას, თვითონ პოეტი გაცილებით უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე მთელ თავის პოეტურ ნაწარმოებს.

ჩვენ აღვნიშნეთ ამ დიდი პოეტის როგორც ღირსებანი, ისე დეფექტები.

ბევრი თავისი მხარეებით ოვანეს თუმანიანი ახლო სდგას ჩვენს ეპოქასთან.

სწორედ ამიტომ სომხეთის პროლეტარიატი აფასებს მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, როგორც ნამდვილი **სახალხო პოეტის** შემოქმედების ნაყოფს.

**სურხატი.**

## გრიგალი შავ ზღვაზე



20 თებერვალს საშინელმა გრიგალმა ნოვოროსიისკში ღუზას მოგლიჯა თურქეთის გემი „იენი ისტამბულ“, რომელიც ნავთსადგურის კედელზე მიახეთქა. გემი სანახევროდ ჩაიძირა. რაზმიდან არავინ დაღუპულა. სურათზე—დაზიანებული გემი.

# საქართველოს მუზეუმის იშვიათი კოლექცია

## ხეთური ბარელიეფი

### გ. ჩიტაია

საქართველოს მუზეუმის მრავალ ღირსშესანიშნავ კოლექციებში ერთ-ერთი იშვიათი კოლექცია ხეთური ბარელიეფია, რომელიც კილიკიის ტავრიდან არის ჩამოტანილი; ხნოვანობით იგი სამი ათასი წლის მეტისაა და ხეთური ხელოვნების საყურადღებო ნიმუშს წარმოადგენს




**ხეთის ქვეყნის რუკა** (ა. კოულეით)

ხეთა (ეგვიპტური წყაროების მიხედვით ხეტა, ხოლო ასურულად ჰატტი) სახელწოდებაა იმ დიდი სახელმწიფოსი, რომელიც არსებობდა წინა აზიაში ჩვენი წელთაღრიცხვის უწინ მეორე ათასეულ წლებში. იგი წარმოადგენდა კონფედერაციას, რომლის შემადგენლობაში 6-8 მსხვილი ეთნიური ერთეული შედიოდა. ყველაზე ადრინდელი ცნობა ხეთელების სახელმწიფოს შესახებ ეკუთვნის 1926 წელს ქ. წ. მისი პოლიტიკური ძლიერების აპოგეია XIV—XII სს. ქ. წ. როდესაც ხეთა ეგვიპტეს მეტოქედ გამოდის, ბაბილონს წარმატებით ებრძვის და ლამობს მაშინდელი მსოფლიოს ბატონ-პატრონად გადაიქცეს. ამ დროს ხეთის სამეფო გადაჭიმული იყო სარდიდან მოყოლებული ევფრატის სათავეებამდე, ხოლო სამხრეთით მდინარე ორონტამდე სირიაში, სადაც ხეთელები და ეგვიპტელები არა ერთხელ შებმიან ურთიერთს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. ძლიერების ეპოქაში ხეთის მეფენი იმდენად ქედმაღლობდენ, რომ თავიანთ სახელწოდებას მზეობით ახსენებდენ ხოლმე. ჩვენ დრომდე მოღწეულია ერთი უძველესი საერთაშორისო ხელშეკრულების ძეგლი, რომელიც ხეთის მეფეს **დუდხალიას** დაუდვია ამუროუს მეფესთან 1259 წ. ქ. წ. ამ ძეგლში სხვათა შორის სწერია: „თუ მეფე მისრის (ეგვიპტის) ქვეყნისა მზის (ე. ი. ხეთის მეფის) მტერია, მაშინ შენი მტერიც უნდა იყოს. და თუ მეფე კარადუნიას (ბაბილონის) ქვეყნისა მზის (ხეთის მეფის) მეგობარია, მაშინ იგი შენი მტერიც არის; მაგრამ თუ იგი მზის მტერია, ესევე უნდა იყოს შენი მტერი. შენი ვაჭარი არ უნდა შევიდეს ასურეთის ქვეყანაში, არც მისი ვაჭარი უნდა შეუშვა შენს ქვეყანაში და ვერც შენს ქვეყანაზე უნდა გაიაროს მან. მაგრამ, თუ მაინც შემოვიდა იგი შენს ქვეყანაში, დაიჭირე და მიიყვანე მზესთან (ხეთის მეფესთან). ეს სიტყვა შენ ფიცად უნდა დაგედვას“.



**ხეთის მეომრები** (კადეშის ბრძოლის მონაწილენი 717 წ. ქ. წ.)

მაგრამ დიდებაში მყოფ ხეთის სამეფოს მალე კარს მოადგა შავი დღეები. ასურელებმა და მუსკებმა (მესხებმა) თანდათან შეასუსტეს მისი ბატონობა. 717 წელს ქ. წ. საბოლოოდ მოისპო ხეთელების უკანასკნელი სამთავრო. მოისპო და განადგურდა მათი სახელმწიფო და მათი პოლიტიკური ძლიერება. სამაგიეროდ წარუხოცელი დარჩა ის კულტურული კვალი, რომელიც ხეთელებმა კაცობრიობის წინსვლის ისტორიაში აღბეჭდეს. გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ისტორიულმა პირობებმა ხეთას დააკისრა უდიდესი კულტურული როლი. დიდი ხნის განმავლობაში ხეთელებს გადაჰქონდათ ევროპაში აზიის კულტურული მიღწევები. თუ საბერძნეთის და შემდეგ მასზე აღმოცენებული ევროპის კულტურა კაცობრიობის ისტორიაში ეგრე დაწინაურებული ჩანს, უნდა ვიცოდეთ, რომ იგი სხვათა შორის ხეთური კულტურის ზეგავლენის ნაყოფია. ხეთელებმა მათი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე შექმნეს უდიდესი ღირებულების მქონე ხელოვნება, კანონმდებლობა, რელიგია და სხვა, რომლებიც შემდეგ თაობათ გადაეცა, როგორც კულტურული განძი და საფუძველი შემდგომი განვითარებისა და წარმატებისათვის.



**ხეთიუ ი ბარელიეფი** (საქ. მუზ. კოლექცია)

ცნობის მოყვარე მკითხველი ალბად შეგვეკითხება, თუ საიდან ვიცით ჩვენ ამდენად შორეული დროის ვითარებები. მკითხველს უნდა მოვახსენოთ, რომ მეცნიერების უნარს, თავდადებას და გამჭრიახობას ბევრი შეუძლია. აღმოჩენები ხეთური კულტურის დარგში საერთო ისტორიული და არქეოლოგიური მეც-



**ხეთელი** (მ. ზემპერით) **ლეკი**

ნიერების საუკეთესო ფურცლებს შეადგენენ. წინა აზიაში (კაპადოკია), სირია, (დასავლეთი მცირე აზია) წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა მიწის წიაღიდან მზის სინათლეზე გამოიტანეს შესანიშნავი ძეგლები, რომელთაც ჩვენს წინაშე გადაშალეს დიდი და ორიგინალური ხეთური კულტურა. სხვათა შორის აღმოჩენილია ხეთელების დედაქალაქი ხატტუსა (ეხლანდელი ბოღაზკიოი), სადაც ნაპოვნია სახელმწიფო არქივი. არქივი შეიცავს 10.000 ლურსმულ წარწერიან თიხის დაფას, რომლის ტექსტები გვაწვდის ძვირფას იმდროინდელ პოლიტიკურ ცნობებს, კულტურულ და ლიტერატურულ მასალებს. ამას გარდა აღმოჩენილია სხვადასხვა



**მიტანელი** (მ. ზემპერით) **მეგრელი**

ადგილებში მრავალი მონუმენტალური ძეგლი, ბარელიეფი, ხატოვანი და ლურსმული წარწერა, წვრილი ნივთები და სხვა.

საქართველოს მუზეუმის ბარელიეფი ერთ-ერთ ასეთ ხეთის ქვეყანაში აღმოჩენილ ხეთურ ძეგლს წარმოადგენს. ბარელიეფი ბაზალტის ქვაა, რომელზედაც ამოქანდაკებულია სამსხვერპლოს წინაშე მდგომი მამაკაცი. მას მარცხენა ხელში ყურძნის მტევანი და პურის თავთავი (?) უჭირავს. წინ ქამარზე ჰკიდია ტანსაცმლის ატრიბუტი. თუმცა ქანდაკების ხუჭუჭი თმა და წვერი მას უფრო ასურელს მიამგზავსებს, მაგრამ ჩვენ ვიცნობთ სხვას, ხეთის ქვეყანაში ნაპოვნ ბარელიეფებს, რომელნიც ჩვენს ქანდაკებას მიემგზავსებიან და ხეთური ხელოვნების ნიმუშად არიან ცნობილი. მაგალითად ქანდაკება იბრიზის კლდეზე, ქანდაკება ლომების კვარცხლბეკზე და სხვანი.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ინტერესი ხეთური კულტურისადმი მარტოდ-მარტო საქართველოს მუზეუმის ბარელიეფით როდი განისაზღვრება. ამ ინტერესს სხვა გარემოებაც კვებავს. საგულისხმოა, რომ ხეთის კონფედერაციის ზოგიერთი ეთნიური ერთეული, მეცნიერების აზრით, ქართველებს და კავკასიის ავტოხტონებს ენათესავება. ბოლო დროს გამოთქმულია მოსაზრება (ე. ფორერი, მ. წერეთელი და სხვ.), რომ ხეთის ენებიდან პროტოხატური და ბალაური ქართულ ენასთან უნდა იდგნენ ახლო და რომ ანთროპოლოგიურად ხეთელების ტიპი ლეკს მიემგზავსება. მეორეს მხრით, ფიქრობენ, რომ ხეთელის ტიპი ანთროპოლოგიურად მიტანელებს ენათესავება, ხოლო მიტანელები მეგრელების მინამგზავსი უნდა იყვნენ.

ზემოდ მოყვანილი მოსაზრებები ჯერჯერობით მხოლოდ სამუშაო ჰიპოტეზებია. არც მეტი, არც ნაკლები. მათი საბოლოოდ დამტკიცება ახალი კვლევა-ძიებას და ხეთური მასალების გამრავლებას მოითხოვს. დღემდე აღმოჩენილი ხეთური ძეგლების მიხედვით აშკარაა, რომ ხეთის სამეფო მეტის-მეტად ნარევი ელემენტებისაგან ყოფილა შემდგარი. ამ ნარევიდგან სხვადასხვა ეთნიური ელემენტების ამომარცვლა მძიმე პრობლემაა. მისი გადაჭრა იმდენად გაადვილდება, რამდენადაც ახალი მასალები შეემატება მეცნიერებას. ეს კი ახალ არქეოლოგიურ გათხრებს და სისტემატიურ მუშაობას მოითხოვს. ქართული მეცნიერება მოვალეა თავისი წვლილი შეიტანოს ამ მუშაობაში.

**გ. ჩიტაია.**

# ამხ. ი. სვერდლოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა



16 მარტს ათი წელი შესრულდა ამხ. იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვის გარდაცვალების დღიდან.

ამხ. იაკობ სვერდლოვი დაიბადა 1Ɛ85 წ. ნიჟნი-ნოვგოროდში. ახალგაზრდობიდანვე ჩაება ის რევოლიუციონურ მუშაობაში და ჩქარა პროფესიონალი-რევოლიუციონერი შეიქნა. 17 წლის იყო, როცა პირველად დააპატიმრეს და $2^1/_2$ წლის ციხე მიუსაჯეს. 1909 წ. ი. სვერდლოვი გადაასახლეს ნარიმის მხარეში, საიდანაც ჩქარა გაიქცა. პეტერბურგში კვლავ დააპატიმრეს და ისევ ნარიმის მხარეში გადაასახლეს. 1912 წ. სვერდლოვმა კიდევ მოახერხა გაქცევა და რევოლიუციონური მუშაობა განაახლა პეტერბურგის მუშებს შორის. სვერდლოვი გასცა პროვოკატორმა **მალინოვსკიმ** და გადაასახლეს ტურუხანის მხარეში, საიდანაც იგი მხოლოდ თებერვლის რევოლიუციამ გაანთავისუფლა.

1917 წ. სვერდლოვი არჩეულ იქნა ბოლშევიკური პარტიის ცეკას წევრად, იმავე წლის ნოემბერში კი—რუსეთის ცაკის თავმჯდომარედ, რა თანამდებობაზედაც მუშაობდა სიკვდილამდე.



როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, წარსულ წელს ბერლინელ კომუნისტების ერთმა ჯგუფმა გაიტაცა მენშევიკურ „ფორვერტს"-ის რედაქტორი შვარცი, რომელსაც სიტყვა უნდა წარმოეთქვა ბერლინის რადიო-სადგურში. მის მაგიერ ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ სიტყვა წარმოსთქვა კომუნისტმა. გერმანიის ბურჟუაზიულმა სასამართლომ სამი კომუნისტი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს შვარცის გატაცებაში, მიუსაჯა რამდენიმე თვის პატიმრობა. სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ—ამხ. ფრანკი, ამხ. შერმენსკი და ამხ. პოიკე, რომლებმაც გაიტაცეს „ფორვერტს"-ის რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1881 წ. 1-ლი (14) მარტის ამბების გარშემო

### (მოგონებიდან: ნანახი და გაგონილი)

### იაკობ მანსვეტაშვილი.

„ნაროდოვოლცებმა“ გადასწყვიტეს მოეკლათ მშრომელი ხალხის სისხლის მსმელი, შეუბრალებელი მეფე ალექსანდრე მეორე.

მეფის მოკვლის საქმე მინდობილი ჰქონდა ტერორისტების ერთ ჯგუფს.

სათავეში ამ ჯგუფს ედგნენ: ჟელიაბოვი, პეროვსკაია, კიბალჩიჩი და სხვ.

ტერორისტი „ნაროდოვოლცები“ ყოველი ფეხის ნაბიჯზე სდევდენ მეფეს მოსაკლავად.



ნ. ი. კიბალჩიჩი

ჯერ კიდევ ყირიმში დაუპირეს მოკვლა. რა წამს გაიგო ეს ამბავი მეფემ, მაშინვე დასტოვა ყირიმი და პეტერბურგში გამოეშურა. მაგრამ გზაშიაც ხაფანგი ჰქონდა დაგებული ორ ადგილას. ალექსანდროვსკში, ეკატერინოსლავის გუბერნიაში, რკინის გზის ხიდი იყო მომზადებული ასაფეთქებლად. აგრეთვე მოსკოვში რკინის გზის ლიანდაგს ნაღმი ჰქონდა ჩადებული და მხოლოდ შემთხვევით ხელმწიფე ორსავე ადგილას ხიფათს გადურჩა.

შემდეგ იყო და ხალტურინმა სასახლე ააფეთქა, სწორედ სადილობის დროს; ხელმწიფე მთელი ოჯახით ვერ გადარჩებოდა დაღუპვას, რომ უბრალო შემთხვევის გამო სადილი არ დაგვიანებულიყო: სწორედ ამ დღეს უცხოეთიდან მოელოდენ დიდ სტუმრებს, მაგრამ მატარებელმა დაიგვიანა ნახევარ საათით და ამ გარემოებამ მეფე და მისი სტუმრებიც სიკვდილს გადაარჩინა.

ახლა პეტერბურგში შეუდგნენ დევნას. ამ გამუდმებულ დევნით ხელმწიფე ისე იყო თურმე დაშინებული, რომ სასახლეში ღამეობით ველარ რჩებოდა და ხან მემკვიდრეებთან ათევდა ღამეს, ხან სხვა თავის მონათესავეებთან.

ერთი ჩვეულება ჰქონდა მეფეს აჩემებული, და ვერც დევნამ, ვერც შიშმა ხელი ვერ აალებინ ამაზე: ყოველ კვირას დღისით მანეჟში დაირებოდა, სადაც ცხენოსან გვარდიის აფიცრების ვარჯიშობა იყო.

რევოლიუციონერებმა თვეობით თვალყური ადევნეს და შენიშნეს შემდეგი: პირველი, რომ სულ ერთი და იმავე გზით დაიარებოდა მეფე, მეორე კიდევ, რომ მანეჟიდან ან სახლში ბრუნდებოდა პირდაპირ, ან მემკვიდრესთან შეივლიდა სტუმრად. პირველ შემთხვევაში ინჟენერების და დიდი იტალიანური ქუჩით უნდა გასულიყო მეფე ეკატერინეს არხზე და აქედან თავის სასახლეში. მეორე შემთხვევაში უნდა გაევლო პატარა ბაღის ქუჩა და მოსულიყო ნევის პროსპექტზე, სადაც მემკვიდრის სასახლე იდგა. ორივე გზა ისე შეჰკრეს ტერორისტებმა, რომ მეფეს გასავალი არ ჰქონდა, ხაფანგში უნდა მოჰყოლოდა.

პატარა ბაღის ქუჩა ვიწროა ძალიან. ნევის პროსპექტის ყურთან ერთ მხარეს მრავალსართულიანი სახლი იდგა. ქუჩის პირად ღრმა ბნელი სარდაფი ჰქონდა სახლს, სადაც საძეხვო ვაჭრობა იყო მოწყობილი. ვაჭრობდენ ცოლი და ქმარი.

არც დიდი ვაჭრობა იყო მაინც და მაინც გაჩაღებული. არც ამისთვის იყო ეს დუქანი გაღებული. ტერორისტები თურმე დღე და ღამ გაჩქარებული სთხრიდნენ მიწას ქუჩის ქვეშ მთელ სიგანეზე, ქუჩის ერთი პირიდან მეორემდე. ნათხარი მიწით ტომრებს ავსებდენ და აქვე დუქანში ჰმალავდენ. თხრა რომ გაათავეს, თხრილში დიდძალი ნაღმი ჩადეს. თუ მეფე აქეთ გამოივლიდა, დუქნიდან ნაღმს ააფეთქებდენ.

მეორე გზა, ე. ი. ინჟენერების და დიდი იტალიანური ქუჩა სულ სხვა გეგმაზე იყო მოწყობილი.

ამ დროს დააპატიმრეს ჟელიაბოვი, მთელი ამ საქმის მოთავე და სულის ჩამდგმელი, საოცარი მხნეობის და ენერგიის კაცი, ჭკვიანი, მოხერხებული და მოფიქრებით მომქმედი. ეგონათ, ამის დაჭერით მთელი ეს საქმე ჩაიშლებოდა მაგრამ შეცდენ. მის მოადგილეთ დარჩა ქალი პეროვსკაია. და ამ სუსტმა ქალმა, როდესაც დაინახა, თუ რა დიდი და საპასუხისმგებლო მოვალეობა დააწვა მას, მოიკრიბა მთელი თავისი ძალ-ღონე და საქმეც ბოლომდე მიიყვანა.

უკანასკნელ წუთს გაიგეს, რომ მეფე მანეჟიდან პირდაპირ თავის სასახლეში წავა. რაკი ბაღის ქუჩაზე საქმე ისე იყო მოწყობილი, რომ იქ შველა არ უნდოდა, ამიტომ მთელი ყურადღება მიქცეული იყო მეორე გზის ქუჩებზე და



ს. ლ. პეროვსკაია

ეკატერინეს არხზე. თავთავის ადგილას იყვნენ დაყენებული გამოწრთვნილი დარაჯები, რომელთაც ნიშნებით უნდა ეჩვენებინათ მეფის მსვლელობა. ეკატერინეს არხზე, როგორც უფრო ჩუმ და მიყრუებულ ადგილზე დაყენებულნი იყვნენ ორი კაცი, რომელთაც უნდა შეესრულებიათ ტერორი.

რაკი შეიტყეს მეფის ამ გზით წამოსვლა, პეროვსკაიამ მაშინვე თავის საუკეთესო ცხენით შებმული ეტლი აფრინა ნევის პროსპექტის მიმართულებით და მალე გაჩნდა ეკატერინეს არხის მეორე მხარეს. აქეთა მხარეს კი, სადაც დიდი იტალიანური ქუჩა არხთან თავდებოდა, იდგნენ რისაკოვი და გრინევეცკი. ესენი ქუჩის შემოსახვევიდან ცოტა დაშორებით იდგნენ, ასე რომ არ შეეძლოთ თვალყური ედევნებიათ მეფის მსვლელობისათვის და დროზე მომზადებულიყვნენ. აი სწორედ ამიტომ მიაშურა პეროვსკაიამ



ა. ი. ჟელიაბოვი

არხის მეორე მხარეს და დადგა ისეთ. ალაგას, საიდგანაც დიდი იტალიანური ქუჩა კარგად სჩანდა.

მეფე რომ არხს მოუახლოვდა, პეროვსკაიამ თეთრი ხელსახოცის აქნევით აცნობა ეს რისაკოვს და გრინევეცკის, რომელნიც არხის მოაჯირზე იყვნენ მიყუდებულნი. პირველად ყუმბარა რისაკოვმა ესროლა მეფის ეტლს. ეტლის უკანა ნაწილი ჩაიმტვრა და ცხენები შედგნენ. ხელმწიფე იძულებული იყო ეტლიდან ჩამომხტარიყო. პოლიცმეისტერი, რომელიც წინ მიუძღვოდა მარხილით, მიუახლოვდა ხელმწიფეს და დიდის მუდარით ეხვეწებოდა თურმე, ჩამჯდარიყო მის ეტლში და გაჩქარებულიყო სასახლისკენ. მეფემ არ დაუჯერა.

გათამამებული იმით, რომ გადურჩა ხიფათს, გასწია რისაკოვისკენ, რომელიც ხელმწიფის თანამოახლე ყაზახებს უკვე შებოჭილი ჰყავდათ.

— ვინ ხარ?—შეეკითხა მეფემ რისაკოვს.

— სტუდენტი რისაკოვი,—იყო პასუხი.

— Хорош!—სთქვა ხელმწიფემ და გაბრუნდა.

არ გაუვლია მეფეს სულ რამდენიმე ნაბიჯი, რომ აქამდე მოაჯირზე მიყუდებული გრინევეცკი გაიმართა წელში, შეუმჩნევლად გამოილო უბიდგან ყუმბარა და სულ ერთი არშინის მანძილზე შიგ ფეხებში სთხლიშა მას. მეფე და გრინევეცკიც იქვე უსულოდ დაეცნენ.

ეს ამბავი მოხდა ნაშუადღევის პირველ საათზე. ის ელვის სისწრაფით მოედო მალე პეტერბურგს.

მეფის მოკვლის წინა დღეებში პეტერბურგში მეტად დაჭიმული მდგომარეობა იყო. ამიტომ უნივერსიტეტის რექტორმა ბეკეტოვმა სტუდენტებს გვირჩია, რომ რამოდენიმე დღეს შინ დავრჩენილიყავით და ქუჩაში სიარულს მოვრიდებოდით.

მეფის მოკვლის ამბავმა ისე გაგვიტაცა, რომ შინ გული აღარ გვიდგებოდა, გვინდოდა გვენახა ის ადგილი, სადაც მოხდა ეს მკვლელობა.

იქნებოდა დაახლოვებით ხუთი საათი, როცა სახლიდან გამოვედით. დიდხანს არ გაუვლია, რომ უკვე მკვლელობის ადგილას ვიყავით. კარ-

გა ბლომად ხალხი შეყრილიყო. ხმა მაღლა ლაპარაკი არ ისმოდა. მხოლოდ გაფაციცებით რაღასაც ეძებდნენ. თურმე ეტლის ნამტვრევებს და მეფის ტანისამოსის ნაგლეჯებს ჰკრებდნენ.

მკვლელობის ადგილი შემდეგ სურათს წარმოადგენდა: შუა ქუჩაში დიდი, კარგად მოზრდილი ორმო იყო, ასე ერთი არშინის სიგრძესიგანისა, ერთი არშინიც სიღრმე ექნებოდა. ეს ორმო ამოეთხარა პირველ ყუმბარას, რომელიც რისაკოვმა ესროლა. იმ ადგილას კი, სადაც მოკლული იყო მეფე, სისხლის კვალი მოჩანდა და ცოტაოდენი ტანისამოსის ნაგლეჯები.

ამ საქმის ყველა მონაწილენი მალე დააპატიმრეს. საგანგებო სასამართლოს გადაეცა მათი საქმე გასარჩევათ. სასამართლომ ხუთ მათგანს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. ესენი იყვნენ: ჟელიაბოვი, პეროვსკაია, კიბალჩიჩი, მიხაილოვი და რისაკოვი. მეექვსე კი, ქალი გესია გელფმანი, მშობიარე იყო, ამიტომ მისი დასჯა გადადეს და ციხეში დასტოვეს.

მკვლელობა მარტში მოხდა და აპრილში სასჯელი უკვე სისრულეში მოიყვანეს. ჩამოაღრჩეს საჯაროდ, სემიონოვის მოედანზე. ეს მოედანი იყო ეზო სემიონოვის პოლკის ყაზარმისა.

დიდ ღია ეტლში სამ რიგზე გაწყობილი იყო ხუთი სკამი. სკამებზე ისხდენ ჟელიაბოვი, პეროვსკაია, კაბალჩიჩი, მიხაილოვი და რისაკოვი. ეტლს ყოველმხრივ შემორტყმული ჰყავდა დიდძალი ჯარი.

პირველ რიგში იჯდა ჟელიაბოვი და პეროვსკაია. ჟელიაბოვი, ყოფილი სტუდენტი, გლეხის შვილი,—შუა ტანის კაცად მოჩანდა, მოკლე წვერ-ულვაშით. თავჩაღუნული იჯდა, წელში მოხრილიყო, ტანჯულად გამოიყურებოდა. ჟელიაბოვს, ისე როგორც სხვებსაც სატუსაღო ტანისამოსი ეცვა.

ჟელიაბოვის გვერდით იჯდა პეროვსკაია. ის იყო შავად ჩაცმული. ტანთ ესხა შავი, მანტოს მაგვარი, სამოსელი. თავს ეხურა შავი მანდილი, ყაბალახის მაგვარი, მხოლოდ ცოტა ზემოდ აწეწილი. მანდილი ცოტა უკან გადავარდნილი ჰქონდა და მოქერო თმა ჩამოჰშლოდა მაღალ თეთრ შუბლზე. ღაწვებზე მუქი წითელი ლაქები გადაჰკრავდა. ტანგაშლილი იჯდა და სახეზე სრული სიმშვიდე ეტყობოდა. როგორც ჟელიაბოვს, ისე პეროვსკაიას ერთხელაც თვალი არ გადმოუვლიათ ხალხისთვის.

ჟელიაბოვის უკან იჯდა მიხაილოვი, ქარხნის მუშა. თუმცა ყველას ხელები გაბაწრული ჰქონდათ, ზურგს უკან სკამზე, მაგრად მიკრული, მაგრამ მიუხედავად ამისა მიხაილოვი მაინც ახერხებდა ტანის გადმოხვრას ხალხისკენ, ეტყობოდა მაღალი ტანისა იყო. სახე ძალიან აღგზნებული ჰქონდა და თვალებს ისე ატრიალებდა, გეგონებოდათ, ცოტა შერყეულაო. გაცხარებული ხალხს რაღასაც ელაპარაკებოდა, მაგრამ სიტყვები არ ისმოდა, ცოტა მოშორებით ვიყავი.

მიხაილოვის გვერდით, მეორე რიგში, იჯდა კიბალჩიჩი, შუათანა ტანის კაცი, შავგვრემანი, მოგრძო წვერით. სახე მშვიდი და წყნარი ჰქონდა, თვალები თითქოს ერთს რაღაც უხილველ წერტილს მისჩერებოდა გაშტერებით.

მესამე რიგში მარტო იჯდა რისაკოვი. შორიდან სულ ყმაწვილსა ჰგავდა, მეექვსე-მეშვიდე კლასის მოწაფეს მოგაგონებდათ. ნუ დაივიწყებთ, რომ ის ამ დროს ცხრამეტი წლისა იყო, სამთო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი. პირტიტველა, მრგვალი სახე ჰქონდა, მოკლე, ცოტად ზემოდ აწეული ცხვირით. იჯდა უძრავად.

სემიონოვის მოედანზე, შუა გულში ხუთი საღრჩობელა დგას. აქვეა ამართული ამაღლებული ესტრადა, სადაც თავი მოეყარა სასამართლოს და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებს. დაიწყეს განაჩენის დაუსრულებელი კითხვა.

პირველად, ჩამოსაღრჩობად მოამზადეს ჟელიაბოვი და პეროვსკაია. ისინი უკანასკნელად ეამბორნენ ერთმანეთს, გულითადად გამოეთხოვნენ მიხაილოვს და კიბალჩიჩს, რისაკოვს კი ზურგი შეაქციეს. ამ უკანასკნელმა გარემოებამ ძალიან გამაკვირვა. მერე გავიგე ამის მიზეზი.

ჟელიაბოვი და პეროვსკაია საღრჩობელაზე დამოკიდებულნი რომ დავინახე, შევკრთი. არ მეგონა, თუ ასეთი საზარელი სანახავი იქნებოდა. გულმა საშინელი ტკივილი იგრძნო. მეტი ველარ შევძელ. თვალი ავარიდე. წამოვიდი. უკან აღარ მიმიხედია.

იაკობ მანსვეტაშვილი.

# ნ. კ. კრუპსკაია

## დაბადებიდან 60 წ. შესრულების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია დაიბადა 1869 წლის 27 თებერვალს პეტერბურგში. 1891 წელს ის შევიდა ქალთა უმაღლეს კურსებზე და პირველად დაუკავშირდა სტუდენტთა წრეს, სადაც შეუდგა მარქსის შრომების შესწავლას. იმავე წელს მასწავლებლად შევიდა საკვირაო სკოლაში, სადაც მისი ინიციატივით, ვითომდა გეოგრაფიის გაკვეთილის სახით, შემოიღეს მუშათა მოძრაობის ისტორიის სწავლება.

1893 წ. პეტერბურგში ჩავიდა ნ. ლენინი. საერთო საქმემ ჩქარა დააკავშირა ისინი დიდი მეგობრობით. ჩქარა ვლადიმირ ილიჩი დააპატიმრეს, მაგრამ ნ. კრუპსკაია განაგრძობდა მუშაობას ქ. პეტერბურგის ფეიქართა საერთო გაფიცვის მოსაწყობათ. 1896 წ. ნ. კრუპსკაიაც დააპატიმრეს და 7 თვის შემდეგ გადაასახლეს უფის გუბერნიაში. ამ დროს ილიჩი სამი წლით იყო გადასახლებული ციმბირში. ამხ. კრუპსკაიას დიდის ვაივაგლახით მისცეს ლენინთან გამგზავრების უფლება.

გადასახლების ვადის დასრულების შემდეგ ნ. კ. გადასახლდა მიუნქენში (გერმანია), სადაც ილიჩთან ერთად „ისკრა“-ს რედაქციაში მუშაობდა. 1906 წ. ვლადიმირ ილიჩი და ნ. კრუპსკაია დაბრუნდნენ პეტერბურგში, მაგრამ რეაქციის გამარჯვების შემდეგ პარტიამ მათ წინადადება მისცა კვლავ გამგზავრებულიყვნენ უცხოეთში.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს ვლ. ილიჩი და კრუპსკაია ბოლშევიკების მცირე ჯგუფთან ერთად გამოვიდნენ მოწოდებით—იმპერიალისტური ომის გადაქცევის შესახებ სამოქალაქო ომად. 1915 წ. კი ნ. კრუპსკაიამ მონაწილეობა მიიღო ქალთა საერთაშორისო ანტიმილიტარისტულ კონფერენციაზე.

1917 წლიდან ნადეჟდა კონსტანტინეს ასული რუსეთში იმყოფება. აქტიურ მონაწილეობას იღებს ოქტომბრის გადატრიალების მზადებაში, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ კრუპსკაია ხდება განათლების კომისარიატის ერთ-ერთ მთავარ ხელმძღვანელად, როგორც კოლეგიის წევრი და პოლიტგანათლების მთავარმმართველობის უფროსი. ამავე დროს ნ. კ. დიდ ყურადღებას უთმობს ლიტერატურულ მუშაობას, პიონერთა და ქალთა მოძრაობას, კომკავშირს და სხვ.

26 წლის ერთად ბრძოლამ ნ. კ. და ვ. ილიჩი დააკავშირა მტკიცე მეგობრობის ძაფებით. გადასახლების დროს, ემიგრაციაში,—ყველგან, სადაც კი ილიჩს უხდებოდა ყოფნა, ნ. კ. ეხმარებოდა მას და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ მისთვის მუშაობის ხელისშემწყობი პირობები შეექმნა.

1905 წ., როცა დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ, ილიჩი მუშაობას აწარმოებდა ბოლშევიკური ფრაქციის ცენტრის შესაქმნელად, 1917 წ., როცა ილიჩი ემალებოდა კერენსკის აგენტებს, ზამთრის სასახლის აღების და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების ღამეს,—ნადეჟდა კონსტანტინეს ასული მუდამ ილიჩის გვერდით იყო.

# 1917 12/III 1929

12 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთს ყოფილი იმპერიის ხალხებმა თავიდან მოიშორეს თვითმპყრობელობა.

1917 წლის 12 მარტი—ეს არის თვითმპყრობელობის ოფიციალურად დამხობის დღე. მისი ლპობის და გახრწნის პროცესი კი დიდი ხნით ადრე დაიწყო. ამას მშვენივრად ხედავდენ ყველაზე უფრო შორსმჭვრეტელნი თვითმპრობელობასთან დაკავშირებულ კლასებთან და ადგენდნენ ძველი რეჟიმის გადარჩენის გეგმებს.

არსებობდა რამდენიმე ასეთი გეგმა. ასე, მაგალითად, განზრახული იყო ალექსანდრა ფეოდოროვნას გატყუება სამხედრო გემზე და მისი წაყვანა ინგლისში, რომ მეფე „განთავისუფლებულიყო“ მისი „მავნე გავლენისაგან“. მეორე გეგმით—გატაცებას უპირებდნენ ნიკოლოზ მეორეს და რეგენტათ მიხეილს აცხადებდნენ ძველი რეჟიმის რაინდების მესამე ჯგუფი აპირებდა მეფის მატარებლის ხელში ჩაგდებას, ნიკოლოზ მეორისგან გადადგომის მოთხოვნას და მისი შვილის გამოცხადებას მეფედ. გენ. დენიკინის მოწმობით, განზრახული იყო ნიკოლოზ მეორეს მოკვლა იმ შემთხვევაში, თუ იგი ნებაყოფლობით არ დათანხმდებოდა გადადგომაზე. გენ. ალექსეევმა შეიმუშავა სამხედრო დიქტატურის შემოღების პროექტი.

თავის თავად ცხადია, რომ მთელ ამ „ზევიდან გადატრიალების“ მოხდენის გეგმებს ასაზრდოებდა შიში მასების რევოლიუციონური გამოსვლის წინაშე. თვითმპყრობელობის „გაახალგაზრდავება“ და „შელამაზება“ მიზნად ისახავდა თვითმპყრობელობის ისეთ რეკონსტრუქციას, რომ მას უკეთ მოეხერხებია რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის ამოცანები. და როცა ცხადი შეიქნა, რომ რუსეთს უკვე აღარ შეუძლია ბრძოლა, რომ ომის შემდგომი გაგრძელება აძლიერებს რევოლიუციის საფრთხეს, რუსეთის მმართველი კლასების ერთ ნაწილში სერიოზულად დაიწყეს ლაპარაკი სეპარატიულ ზავზე, როგორც მოსალოდნელი რევოლიუციისაგან თავის დაღწევის ერთად ერთ საშუალებაზე. ნიადაგის მოსინჯვაც დაიწყო.



დაპატიმრებული ნიკოლოზ მეორე

მაგრამ თვითმპყრობელობის გადარჩენის ცდების ყველა გეგმები დაამსხვრია პიტერისა და მოსკოვის პროლეტარიატმა.

რ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საწარმოო თათბირების მუშაობის შემოწმება

ალ. კოგანი

უდიდესია საწარმოო თათბირების როლი ბრძოლაში მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად და ღირსების გასაუმჯობესებლად.

საწარმოო თათბირების მუშაობის საკავშირო შემოწმებამ გამოაცოცხლა თათბირების მუშაობა, მუშათა ფართე მასები ჩააბა მასში.

დაკოჟრებული ხელები, რომლებისთვისაც ფანქრის მოხმარა ხშირად ათჯერ უფრო ძნელია



ფოტო-კოგანის

**დამთავრებული კომისის სხდომა**

მანქანასთან, ან დაზგასთან მუშაობაზე, წარმოებისათვის გულშემატკივარ მუშების მრავალი ათი ათასი დაკოჟრებული ხელი შეუდგა დათვალიერების ჩამტარებელი კომისიების ყუთების შევსებას თავიანთი წინადადებებით.

საჭირო, ძვირფასი ანკეტების უდიდესი მარაგი—აი ის ბალანსი, რომელიც გვაქვს ამჟამად მთელ რიგ ფაბრიკებსა და ქარხნებში.




ფოტო-კოგანის

**ასეული წინადადებით ივსება ყუთები**

პასუხები იკრიბება, მათ ჯამი უკეთდება და საწარმოებში პასუხებით ივსება ქაღალდის გრძელ-გრძელი ფურცლები.

ამხ. სტალინის სახელობის (თბილისის) ორთქლმავლების შემკეთებელ ქარხანაში დარიგებულია 2000-მდე ანკეტა, დეპოში—ათასზე მეტი. რკინისგზელები არ კმაყოფილდებიან რკინის გზელთა პროფკავშირის გამგეობის მიერ შემუშავებული შეკითხვის ფურცლებით, ისინი თითონ ადგენენ ადგილებზე საკუთარ ფურცლებს, რომლებიც მრავალ წვრილმანს ეხებიან.

ერთი შეხედვით ეს წვრილმანები შეიძლება ზედმეტად, უადგილოდ გეჩვენოს, მაგრამ შემდეგ, როდესაც გულდასმით გაარჩევ უკვე დაწერილ წინადადებებს, ერთბაშად დარწმუნდები, თუ რამდენად ძვირფასია ეს წვრილმანები, თუ როგორ იკარგება ზოგჯერ სრულიად უბრალო წვრილმანის მხედველობაში მიუღებლობის გამო მრავალი ასეული სამუშაო საათი, მრავალი ათასი მანეთი.

ეკლიანია მუშა-გამომგონებლის გზა. მის ძვირფას წინადადებებს თვეობით აჭიანურებენ, ინსტანციიდან ინსტანციაში ატარებენ. ბოლოს და ბოლოს ამდენი რბენით დაქანცული და მოთმინებიდან გამოსული გამომგონებელი ყველაფერს თავს ანებებს და ჭირივით გაურბის რაიმე ახალი წინადადების წამოყენებას.

ამას ღაღადებენ დეპოს, 26 კომუნარის სახელობის ქარხნის, ორთქლმავლებისა და ვაგონების ქარხნებში შეკრებილი ანკეტები.

რკინის გზის პროლეტარიატი ყველაზე წინ სდგას დათვალიერების კამპანიაში. მთელი რიგი დიაგრამები, გამომგონებელთა კონფერენცია, საწარმოო გამოფენა—აი გარეგანი მხარე იმისა, რაც გაკეთდა დათვალიერების საუკეთესოდ ჩასატარებლად.

ხოლო შინაგანი მხარე საუკეთესოდ მოსჩანს ორ ოთახში—მანქანების შემკეთებელი ქარხნის და დეპოს საქარხნო კომიტეტებთან. ჭვარტლითა და მურით გაშავებული მუშები შეუწყვეტლად მიდიან დათვალიერების ჩამტარებელი ცენტრალური კომისიის მაგიდასთან და ზეპირი წინადადებებით ავსებენ იმას, რაც ანკეტაში ვერ მოთავსდა ან რაც შემდეგ მოიფიქრეს.

ისინი მოკლედ მოსჭრიან სიტყვას და მაშინვე უკან ბრუნდებიან. მათ ძალიან კარგად იციან, თუ რამდენად ძვირფასია სამუშაო დრო, რამდენი ჯდება მანქანის გაჩერების ყოველიწუთი.

მაგრამ არის უმცირესობა, რომლისთვისაც დათვალიერება ფუჭი სიტყვაა. ეს ხალხი საერთოდ წარმოების პროცესში მხოლოდ ერთ სასიამოვნო მომენტს ხედავს—ხელფასის მიღებას.



ფოტო-კოგანის

**მუშის წინადადების პრაქტიკულად შემოწმება**

ასეთები, მიიღებენ თუ არა ხელფასს, მაშინვე მიდიან დუქნებში და „სასადილოებში", რომლების ქსელიც ფართოდ არი გავრცელებული მუშათა რაიონებში და აქ სტოვებენ მთელ ფულს.

ღვინის მსმელთა პროცენტი ჩვენში მეტად დიდია. რამდენიმე ასი მილიონი მანეთი ეწირება ყოველ წელიწადს მსხვერპლად ლოთობას. წარმოებაში უშუალოდ ჩაბმული მრავალი მუშა დათრობის შემდეგ სამუშაოზე ველარ გამოდის. ეს კი იწვევს დაზგების შეჩერებას და



ფოტო-კოგანის

**ესეც „სწევს" წარმოებას**

ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული საწარმოო პროცესების დარღვევას.

ლოთობა ფაბრიკებსა და ქარხნებში საშიშ სახეს ღებულობს და ამიტომ სავსებით დროულად უნდა ჩაითვალოს კანონი ლოთობასთან ენერგიული ბრძოლის შესახებ, რომლის გამოცემასაც აპირებს საკავშირო სახკომსაბჭო.

სამუშაოს გაცდენა, დაუდევრობა, გულგრილად მუშაობა—აი რის წინააღმდეგ ილაშქრებს დათვალიერების კამპანია.

მუშათა ინიციატივის გამოცდა მთავრდება. ყველა შედეგი ჯერ კიდევ არ ვიცით, მაგრამ ეხლავე შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ მუშათა მასებმა ეს გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარეს.

ალ. კოგანი.



ფოტო-კოგანის

**დაზგა „უქმობს". მუშამ დღე გააცდინა**

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა

6 მარტს შესდგა საქ. პროფსაბჭოს და ს. მ. უ. საბჭოს გაერთიანებული პლენუმი

ფოტო-კოგანის



მარცხნივ—პლენუმის პრეზიდიუმი.—მარჯვნივ—სხდომის დარბაზი



მუშფაკების 10 წ. თავი. საზეიმო სხდომა საქ. პროფსაბჭოს დარბაზში



საქ. ინჟენერ-ტეხნიკოსთა ყრილობის პირველი სხდომა




საწარმოო გამოფენა ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში



ახალი მუშათა სახლი კლარა ცეტკინის ქუჩაზე (თბილისი)

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია. რედაქციის მისამართი—კამოს ქ. № 68.

# „ქრისტეს მოადგილე“ და ფაშიზმი.

თუმცა თუ სახარებას დაუჯერებთ, მორწმუნეთა სამეფო „ზეცაზეა“, მაგრამ ეკლესიის მთავრები ორივე ხელებით ეპოტინებიან „ცოდვილ“ დედამიწას და სცდილობენ სიკეთე და სიმდიდრე ამ ქვეყნად არ მოიკლონ.

იყო დრო, როცა ეკლესიის ხელმძღვანელთა, პაპების და პატრიარქების წინაშე თრთოდენ მეფეები. ეს დროება გავიდა.

ბურჟუაზიამ თავის ბატონობის ტახტზე მიაბა სამღვდელოებაც, რომელიც ე. წ. „სოციალისტებთან“ ერთად ერთგულად ემსახურება კაპიტალიზმს.

იყო დრო, როცა რომის პაპა ფეოდალური იტალიის ნამდვილი მეფე იყო. მაგრამ იტალიის ახალგაზრდა ბურჟუაზიამ ერთ მთლიან ცენტრალისტურ სახელმწიფოს შექმნასთან ერთად პაპების საერო ძალაუფლებას ბოლო მოუღო. პაპის სახელმწიფოდან დარჩა მხოლოდ პატარა ტერიტორია: ვატიკანი თავისი ძალებით, და პეტრეს საკრებულო ტაძარი. პაპის საერო ძალაუფლების გაუქმების დღიდან, პაპები, ნიშნად პროტესტისა, არ გამოდიან ვატიკანიდან. 60 წელი გრძელდება ყრუ ბრძოლა ვატიკანსა და იტალიის მთავრობის შორის. ამ ჟამად ამ ბრძოლას მოეღო ბოლო და ისიც... ყოფ. სოციალისტის, ახლა კი იტალიელი შავხალათებიანების—ბენიტო მუსოლინის ინიციატივით.

რომის პაპა დაუბრუნდა საერო ხელისუფლებას თავის სახელმწიფო ტერიტორიაზე, იტალიის მთავრობა სპეციალურ ელჩს წარგზავნის ვატიკანში.

სამაგიეროდ (ეს ხელშეკრულებაში არ არის ნათქვამი, მაგრამ იგულისხმება, კათოლიკური ეკლესიის მთელი აპარატი იმუშავებს ფაშისტური რეჟიმის განსამტკიცებლად, ფაშისტური იმპერიალიზმის გეგმების განსახორციელებლად სხვა და სხვა ქვეყნებში.

და არ შეიძლება ითქვას, რომ კათოლიკურ ეკლესიას მცირე სამსახურის გაწევა შეუძლია ფაშიზმისათვის. კათოლიკური ეკლესიის აპარატი მეტად მოქნილია, მის განკარგულებაში მოიპოება საკმაოდ დიდი თანხები და კავშირი, რომ ღირსეული სამსახური გაუწიოს იტალიის მშრომელთა ჯალათებს. კათოლიკურმა ხუცებმა არა ერთხელ დაამტკიცეს, რომ იქ, სადაც „სიტყვა ღვთისა“ არ სჭრის, მათ მშვენივრად შეუძლიათ მაუზერების მოხმარებაც (საკმაოა თუ გინდ გავიხსენოთ კათოლიკურ ხუცების მიერ მოწყობილი აჯანყებები მექსიკაში).

იტალიის შავხალათიანთა არმიას შეემატა შავანაფორიანების საკმაოდ დიდი არმია.

# ი უ მ ო რ ი

წ მ ე ნ დ ა ზ ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქმის „სპეცი“

— კაცო, საკვირველია, ეს ჩვენი ადგილკომის თავმჯდომარე თითონ ლოთია და მოხსენებას კი აკეთებს ლოთობის წინააღმდეგ.

— საქმეც ისაა სწორედ, რომ თვითონ ლოთია და ეგ საკითხი ყველაზე კარგათ მან იცის!

### „სწორი“ პასუხი

— აბა ვინ მეტყვის, ბავშვებო, რომელია გაზაფხულის თვეები!

— ჯერ ვერავინ გეტყვის მასწავლებელო, იმიტომ, რომ არავინ ვიცით რომელ თვეში გათავდება ზამთარი!

### „კარგი რჩევა“

— ექიმო, მიშველე რამე ვკვდები კაცი!

— რა დაგემართა?

— რაღაც ვჭამე და მაწყინა!

— მაშ რადგან მასეა, აწი ნურაფერს სჭამ და მორჩები!

### „ფასების მცოდნე“

— რა ღირს, მეგობარო, ეს წიგნი!

— სამი მანეთი!

— ასე პატარა წიგნი და სამი მანეთი?

— რას ამბობ! სამაგიეროდ შიგ მილიონებზეა ლაპარაკი!

### „სწორი“ მიზეზი

— რა ღირს ძმობილო ინდაური?

— სამი მან. ნახევარი.

— მანეთ ნახევარი მოგცე! ძლიერ გამხდრებია!

— სწორედ იმიტომაც არიან შვილოსა გამხდრები, რომ მასეთ ფასს იძლევით და დარდისაგან ვერ აუტანიათ.

### „თავის გამართლება“

— თქვენ დაპატიმრებული ხართ, ვინაიდან გაგიფლანგავთ სახაზინო ფული ათასი მანეთი!

— უკაცრავად! მე სრულიადაც არ გამიფლანგავს ის ფული, არამედ ჩემს მამულს მოვახმარე!

### „უბედური კაცი“

— შემეწიეთ მოქალაქე, მაჩუქეთ რამე!

— როგორ! შენ განა რა გიჭირს სამათხოვრო, ასეთი ჯანმრთელი ხარ!

— სწორედ, რომ მე მიჭირს!—ორი ცოლის პატრონი ვარ!

### ცოტა აკლია!

— სამი შაური რომ მქონდეს ოპერაში წავიდოდი!

— როგორ, ბილეთი იქ ისე ძვირია და შენ სამ შაურათ როგორ შეხვიდოდი!

— არა! ბილეთი მაქვს, ხოლო პალტოს დასაკიდი ფული აღარ დამრჩა!



როგორ?!. მე, იდეურ მუშაკს, მტკიცე კომუნისტს, პარტიის წევრს 1920 წლიდან, მრიცხავთ?

— დიახ.

— მაშ თუ აგრეა, დ მიბრუნეთ პარტიული საწევრო გადასახადები, რაც ამ ხნის განმავლობაში შემომიტანია.

(„ჩუდაკ“)

### მონადირეებთან

I

— ეჰ! როგორ მინდა მეც ერთი სანადიროთ წასვლა!

— მერე და რა გიშლის!

— ის, რომ მეშინია ტყეში რაიმე მხეცი არ შემხვდეს...

II

— საიდან მოდიხარ?

— ნადირობიდან!

— ვერაფერი მოკალი?

— როგორ მოვკლავდი, როცა მე ყოფილი „ცხოველთა მფარველ საზოგადოების“ წევრი გახლავართ!

III

— რას შვები კაცო, კურდღელს ფეხდაფეხ მისდევ?

— მაშ რა უყო!

— თოფი ესროლე!

— მე ამოტელა კაცი ვერ დავეწიე და ეს პატარა ტყვია როგორ დაეწევა?



პაპის წარმომადგენელი კარდინალი გასპარი და მუსოლინი ხელს აწერენ შეთანხმებას



მშვიდობიანობის ანგელოზი 1929 წ.

(„დერ ვარე იაკობ“)

მთავლიტი № 409. ტირაჟი 4100. პ/ტ მე-5-ე სტამბა. გაზ. „კომუნისტის“-ს გამომცემლობა.